# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№39 (10042) 2026 წლის 3 აპრილი, პარასკევი




## ქართველი მოზარდები ფაშისტური იდეოლოგიის ტყვეობაში



იხ. 6 გვ.

## სხვებს აწამებენ, საკუთარ ცხოვრებას იმახინჯებენ!

### რა სასაცილოები ხართ, თქვე უზედურნო!



იხ. 4 გვ.

## ოპოზიციის მორიგი ავანტიურა,

### ანუ მავნებლობის ხარისხი!..



იხ. 8 გვ.

## ტრამპი ირანთან ომს აგებს!..

## „დიფ სთეითი“ მლიქვნელიც ყოფილა!

„ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ „ქართულ ოცნებასთან“ დებატებს ითხოვს!

3

### დავით სონღულაშვილი:



რეაგირების გარეშე არ დავტოვებთ არცერთ ბრალდებას, მუქარას და ცილისწამებას!

12

### პუბლიკაციის დასასრული



## უცხოელები ქართველთა სილამაზის შესახებ

9

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს რესპუბლიკა

№39. პარასკევი, 3 აპრილი, 2026 წელი



# „გლობალურ ჭიშკარში“ სლოვაკეთი საქართველოს როლს ჯეროვნად აფასებს

**სლოვაკეთის პრეზიდენტი – საქართველო სამხრეთ კავკასიაში სტაბილიზაციის პროცესში ძირითად როლს თამაშობს, სტრატეგიული პოზიცია აქვს აზიასა და ევროპას შორის, ვერავინ გამოტოვებს და გვერდს ვერ აუვლის!**

– ამის შესახებ სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **პეტერ პელეგრინმა** ქართველ კოლეგასთან **მიხეილ ყაველაშვილთან** ერთობლივი პრესკონფერენციისას განაცხადა.

**„ჩვენ ვისაუბრეთ სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებაზე. მივესალმებით კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. საქართველო ამ რეგიონის სტაბილიზაციის პროცესში ძირითად როლს თამაშობს. სლოვაკეთი მონაწილეობას იღებს ევროპულ ინიციატივაში „გლობალური ჭიშკარი“ და ჩვენ დაინტერესებულები ვართ, ავაშენოთ ინფრასტრუქტურა. საქართველოს გააჩნია სტრატეგიული პოზიცია ამ მარშრუტზე აზიასა და ევროპას შორის – ტრანსპორტის სფეროში, ასევე ენერგომატარებლების იმპორტის საკითხში. საქართველოს აქ ვერავინ გამოტოვებს და გვერდს ვერ შემოუვლის. ამიტომ ძალიან კარგი ურთიერთობები გვაქვს საქართველოსთან, რადგან მან შეიძლება ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ამ ქრილში“**, – განაცხადა სლოვაკეთის პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი სლოვაკეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით დელეგაციასთან ერთად იმყოფება.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ სამხარაძე**, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **გიორგი ზურაბაშვილი**, სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **კონსტანტინე ქვაჩაკიძე** და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

**მაჯიდ მუსავი:**

# აშშ აგზავნის თავის ჯარისკაცებს საფლავებში და არა ირანი ბრუნდება „ქვის ხანაში“!



– ამის შესახებ „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ საჰაერო კოსმოსური ძალების მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა **მაჯიდ მუსავიმ** განაცხადა.



ირანელი სამხედრო მაღალჩინოსნის თქმით, **აშშ-ის ხელმძღვანელობა ჰოლივუდის მსგავსი ფანტაზიების გავლენის ქვეშაა მოქცეული და ამან აიძულა სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ 250-წლიან საკუთარ გამოცდილებაზეა დაფუძნებული, საფრთხე შეექმნა 6 000 წელზე მეტი ისტორიის მქონე ცივილიზაციისთვის.**

აშშ-მა და ისრაელმა ირანის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანია მას შემდეგ დაიწყეს, რაც 28 თებერვალს ისლამური რევოლუციის ლიდერი **აიათოლა სეიედ ალი ხამენეი** რამდენიმე მაღალი რანგის სამხედრო მეთაურსა და მშვიდობიან მოქალაქესთან ერთად მოკლეს.

**ცნობისთვის, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ ირანს მომდევნო ორი-სამი კვირის განმავლობაში ძლიერად დაარტყამს. „ჩვენ მათ დავაბრუნებთ ქვის ხანაში, სადაც მათი ადგილია“**, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.



**პაატა ბურჭულაძის სიზმარი:**

# „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ ჩემს დაძახებულზე ხალხი გამოსულიყო, კიდევ კარგი, ეროვნული სტადიონი არ დაგვითმეს, ამდენი ადამიანი სად უნდა დაგვეტია!

**ორგანიზატორები ვიყავით მე და „ქართული ოცნება“. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩემს დაძახებულზე ხალხი გამოსულიყო რუსთაველზე**, – ამის შესახებ 4 ოქტომბრის საქმეზე ბრალდებულმა, მოძრაობა „რუსთაველის გამზირის“ ლიდერმა, **პაატა ბურჭულაძემ** გუშინ სასამართლო პროცესზე განაცხადა.

# აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე გახდა



**აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ წევრი ცოტნე ანანიძე გახდა. ფარული კენჭისყრის შედეგად, ცოტნე ანანიძე უმრავლესობის წევრებმა ერთხმად აირჩიეს.**

**ცოტნე ანანიძე აჭარის უმაღლეს საბჭოში ფრაქცია „ქართულმა ოცნება“ წარადგინა.**




# ხელმა ხელი დაბანა და თაღლითებმა მილიონები მიითვისეს!

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლებისა და სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლებაში დახმარების ფაქტები გამოვლინდა.**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულია ხუთი პირი: სამეწარმეო სუბიექტისა და მისი ქვეკონტრაქტორი კომპანიების ოთხი დირექტორი და კომპანიის ერთი თანამშრომელი.

**– გამოძიებით დადგინდა, რომ 2023-2026 წლებში შპს Aladashvili & co-სა და თბილისის ისნის, ჩუღურეთის, მთაწმინდისა და კრწანისის რაიონების გამგეობებს შორის გაფორმდა, ჯამში, 12 ხელშეკრულება, რომლებიც შეეხებოდა მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისთვის უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას, საერთო ღირებულებით – 26 513 573 ლარი. შპს Aladashvili & co-ს დირექტორმა 22 სასადილოდან ოთხი, გამგეობებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებით, სამართავად გადასცა ქვეკონტრაქტორ კომპანიებს: შპს „გიდს“, შპს „ბადეს“ და შპს „ალიონს“. გამოძიებით დგინდება, რომ შპს Aladashvili & co-ს დირექტორი, აღნიშნულ კომპანიებთან ერთად, ხელშეკრულებების მოქმედების პერიოდში, 2024, 2025, 2026 წლებში, ყოველდღიურად, 14 451-მდე ბენეფიციარს არაკეთილსინდისიერად ემსახურებოდა და არაჯეროვნად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს. კერძოდ, პროდუქციის მიღება-ჩაბარების აქტების გაყალბების გზით, გამგეობებიდან მიღებული 18 909 104 ლარიდან თაღლითურად დაეუფლნენ სახელმწიფოს კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას – 3 529 000 ლარს. აღნიშნულ ქმედებასთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 25, 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**



# „დიფ სთეითი“ მლიქვნელიც ყოფილა!

**„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ სახელით გვსურს, საზოგადოების ყურადღება გამახვილდეს ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტზე, რაც, ვფიქრობთ, რომ შესაბამისი ანალიზისა და შეფასების გარეშე დარჩა.**




# „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ „ქართულ ოცნებასთან“ დებატებს ითხოვს!

**როგორც ერთ დროს ერთიანი, შემდეგ დაშლილი და ახლა კიდევ ერთხელ გაერთიანებული „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა თამარ ჩერგოლეიშვილმა განაცხადა, ისინი მიემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა თავიანთ უცხოელ პატრონებს წარუდგინონ სამოქმედო გეგმა, თუ როგორ უნდა დაიბრუნონ ძალაუფლება და მოვიდნენ ხელისუფლებაში.**

**რეალურად, ეს განცხადება რომ აბსურდულია, ყველასთვის ცხადია, რადგან ადგილობრივ რადიკალურ ოპოზიციას, ანუ ახლახან კიდევ ერთხელ გაერთიანებულ „ნაციონალურ მოძრაობას“, არათუ საკუთარი გეგმა, არამედ საკუთარი აზრიც კი არ გააჩნია. ისინი მხოლოდ და მხოლოდ უცხოელი პატრონების დავალებების ბრმად შემსრულებლები და საქართველოში პროცესების რადიკალიზაციის ინსტრუმენტები არიან.**

ამავდროულად, ეს განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მათთვის ძალაუფლების წყარო არა ქართველი ხალხი, არამედ უცხოელი პატრონები არიან და ლეგიტიმაციასაც არა საქართველოს მოსახლეობისგან, არამედ სწორედ მათგან ელიან; მით უფრო, რომ დარწმუნებულები არიან — მთავარი გადაწყვეტილებები სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღება.

ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირებისა და ამერიკის შეერთებული შტატების გავლენიან სახელმწიფო მოხელეებს შორის გახშირებული კონტაქტი, სხვადასხვა ფორუმზე შემდგარი კომუნიკაცია, ღონისძიებებზე მიწვევა თუ სატელეფონო საუბრები „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას კომფორტულ მდგომარეობაში აყენებს და ამცირებს ხელისუფლებაზე ამ კუთხით არსებულ წნეხს.

აშკარაა, რომ ამგვარი მეთოდებით მოქმედება სწორედ „დიფ სთეითის“ ხელწერაა, რომელმაც ამჯერად საქართველოსთან მიმართებით მლიქვნელური პოლიტიკის გატარება დაიწყო, რისი მიზანიც ხელისუფლებისა და საზოგადოების მოდუნებაა. ეს ყველაფერი კი, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, ჩვენი ქვეყნისთვის შესაძლოა მორიგი კატასტროფით დასრულდეს.

„ერთიან ნეიტრალურ საქართველოს“ მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ საკუთარ პოლიტიკურ კომფორტზე კი არა, ქვეყნის სუვერენიტეტისა და საზოგადოების ინტერესების დაცვაზე უნდა იფიქროს და არ წამოეგოს ამ სატყუარას. რადგან ამერიკის შეერთებული შტატებიცა და ევროპაც „დიფ სთეითისგან“ იმართება, თუ დღეს აშშ-დან წამოსულ ამ სიგნალებს დაჰყვებიან, ხვალ, როცა ევროკავშირიც მსგავსი ტიპის პოლიტიკას დაიწყებს, მათთან მიმართებითაც არა პრინციპულ, არამედ ხელისუფლებისთვის კომფორტულ, დამყოლ პოზიციას აირჩევენ.

ფაქტია, ამგვარი მიდგომები ქვეყანასა და ხალხზე კი არა, საკუთარ თავზე ზრუნვით იქნება განპირობებული და ამის შესახებ საზოგადოება სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული. ამ ყველაფრის გააზრება კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ ფონზე, რომ სრული სიცრუე და ფარსი აღმოჩნდა ხმამაღალი განცხადებები იმის შესახებ, თითქოს დონალდ ტრამპი „დიფ სთეითს“ ებრძვის. რეალურად, ამერიკის შეერთებულ შტატებში „დიფ სთეითის“ რებრენდინგის პროცესი მიმდინარეობს, თანაც საკმაოდ აქტიურად და ამის ნიშნები უკვე აშკარად იკვეთება.

მეტიც, სწორედ დონალდ ტრამპია „დიფ სთეითის“ მმართველობის პირდაპირი გამოხატულება, „დიფ სთეითის“ რეალური სახე, რომელიც ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს — საჯაროდ აცხადებს, რომ „მშვიდობის მტრედია“, მაშინ, როდესაც ომს-ომზე აჩაღებს და საკუთარი, ვითომ დამოუკიდებელი პოლიტიკით, ქმედებებით, დამოკიდებულებითა და მანერებითაც კი ყველანაირ წესრიგს „დიფ სთეითის“ გეგმას არგებს. **ფაქტია, ტრამპი ომის გამჩაღებელია, ხოლო მართვითა და გამგეობით, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე ევროპაში, „დიფ სთეითი“ მართავს ყველაფერს!**

**ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, „ერთიანი ნეიტრალური საქართველოსთვის“ „ქართული ოცნების“ კონფორმისტული პოზიცია აბსოლუტურად მიუღებელია, ამიტომ, ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, კატეგორიულად მოვითხოვთ საჯარო სატელევიზიო დებატებს ხელისუფლებასთან, რათა საზოგადოების ყველა ამ კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცეს!**

## ტრამპი ომის გამჩაღებელია, ხოლო მართვითა და გამგეობით, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე ევროპაში, „დიფ სთეითი“ მართავს ყველაფერს!



# „ეპიკური მრისხანება“ მინავლდა?!

## აშშ სახმელეთო ოპერაციისთვის ემზადება!!!

**„ღმერთი უარყოფს ლიდერების ლოცვებს, რომლებიც ომებს აწარმოებენ და ხელები სისხლით აქვთ სავსე“,** — ასე მიმართა **რომის პაპმა** გზობის კვირას, წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ ადამიანებს და აღნიშნა, რომ იესოს გამოყენება არ შეიძლება ნებისმიერი ომის გასამართლებლად. **პაპმა ლეომ ბიბლიიდან მოიყვანა ციტატა: „მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ლოცულობთ, მე არ მოგისმენთ: ხელები სისხლით გაქვთ სავსე“.**



პაპს არ დაუკონკრეტებია, რომელ მსოფლიო ლიდერებს გულისხმობდა, მაგრამ წუხილი გამოთქვა, რომ ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანები საშინელი კონფლიქტის შედეგებს განიცდიან და შესაძლოა ვერ შეძლონ აღდგომის აღნიშვნა. ეს კი ნიშნავს, რომ მისი ადრესატი აშშ-ის პრეზიდენტი და ისრაელის პრემიერ-მინისტრია, რომლებმაც ომის რელიგიურ მდგენელზე გააკეთეს სწორება.

**კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის სუვერენული სახელმწიფოს მეთაური, პაპი ლეო წარმოშობით ჩიკაგოდან არის, თუმცა ამის მიუხედავად, ის ერთადერთია, რომელსაც ამ დრომდე აშშ-ის პრეზიდენტი ვატიკანში არ მიუწვევია და ეს შეხვედრა ჯერჯერობით არც განიხილება. ეს კი, ანალიტიკოსების შეფასებით, ადასტურებს იმას, რომ რომის პაპი ომის პოლიტიკას გაემიჯნა.**

ამასობაში, **აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი ირანში ხანგრძლივი სახმელეთო ოპერაციებისთვის ემზადება, ვინაიდან ათასობით ამერიკელი ჯარისკაცი და საზღვაო ქვეითი ჩადის ახლო აღმოსავლეთში, ომის შესაძლო ახალი სახიფათო ფაზაში მონაწილეობისთვის, თუ ტრამპი გადაწყვეტს კონფლიქტის ესკალაციას.**

იხ. 5 გვ.

# რა სასაცილოები ხართ, თქვე უბედურნო!




რადიკალური ოპოზიცია ისევ ერთიანდება და ამჯერად „ოპოზიციის ალიანსის“ ეგიდით, ეროვნული მობილიზაციის კამპანიას იწყებს, რომელიც ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება. ამ კამპანიის სიმბოლური კულმინაცია იქნება 26 მაისი, როდესაც თბილისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, „დიდი ხალხმრავალი“ აქცია გაიმართება.

„ოპოზიციის ალიანსის“ გეგმები საზოგადოებას ღია ცის ქვეშ გამართულ ბრიფინგზე „კოალიცია ცვლილების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ გააცნო. მისი თქმით, უნდა გაზარდონ პირისპირ, პირდაპირი კომუნიკაცია მოქალაქეებთან, ამასთან, უნდა გაანეიტრალონ რეჟიმის პროპაგანდა.

„ორივე ეს თარიღი – 31 მარტი და 26 მაისი, არის უმნიშვნელოვანესი თარიღები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ორივე დაკავშირებულია ქართველი ერის უმნიშვნელოვანეს გამოწვევასთან – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხთან. ჩვენ გვჯერა, რომ დღესაც საქართველო იდენტური გამოწვევის წინაშე დგას. სწორედ ამიტომ დღეს, 31 მარტს, „ოპოზიციის ალიანსი“ ვაცხადებთ, რომ ვიწყებთ ერთობლივ, ეროვნული მობილიზაციის კამპანიას.

**„ის ბრაზი, პროტესტი და ცვლილების სურვილი, რომელიც უკვე წლებია არსებობს საზოგადოებაში, უნდა გადავაქციოთ რეალურ პოლიტიკურ ქმედებად. უნდა დავამარცხოთ შიში, რომელიც ამ რეჟიმმა წლების განმავლობაში მიზანმიმართულად დანერგა. და ბოლოს, უნდა გავზარდოთ პროტესტში ჩართული ადამიანების რაოდენობა იმიტომ, რომ ცვლილება არ ხდება მხოლოდ საუბრით – ცვლილება ხდება, როცა ბევრი ადამიანი დგება ერთად. თუ არ ვიმოქმედებთ, არაფერი შეიცვლება. თუ ვიმოქმედებთ, რეჟიმის ცვლილება იქნება მხოლოდ დროისა და ფასის საკითხი“,** – აღნიშნა **ზურაბ ჯაფარიძემ.**

„ფედერალისტის“ **თამარ ჩერგოლეიშვილის** განცხადებით, ეროვნული მობილიზაციის კამპანია დაიწყეს, რათა რეჟიმი დასრულდეს. მისი თქმით, ეს კამპანია იქნება მოქალაქეების ინტერესებზე ორიენტირებული და არა რომელიმე ავტოკრატი ლიდერის ან დონორის ახირებებზე.

**„დამოუკიდებლობის გარეშე, ჩვენ სახელმწიფო ვერ გვექნება, ვერ გვექნება სამართლიანობა და კეთილდღეობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ეროვნული მობილიზაციის კამპანია დავიწყეთ იმისთვის, რომ ყველა ქართველი მშვიდობიან წინააღმდეგობაში ჩაერთოს და რეჟიმი დასრულდეს. დასასრული არის იმაზე ბევრად ახლოს, ვიდრე ჩვენ გვგონია იმიტომ, რომ ავტორიტარული რეჟიმები ჯერ თანდათან იშლებიან და შემდეგ ერთბაშად. ერთბაშად ჩამოშლაა დარჩენილი და ამას მივაღწევთ. ყველა წინა კამპანიისგან განსხვავებით, ეს კამპანია იქნება მოქალაქეების სასიცოცხლო ინტერესებზე ორიენტირებული და არა რომელიმე ავტოკრატი ლიდერის ან დონორის ახირებებზე“,** – განაცხადა **თამარ ჩერგოლეიშვილმა.**

# ოპოზიციის მორიგი ავანტიურა,

## ანუ მავნებლობის ხარისხი!..



„ოპოზიციის ალიანსის“ გეგმებს აბსურდულს უწოდებს „გირჩის“ ლიდერი **იაგო ხვიჩია**, რომლის განცხადებით, რასაც ახლა ოპოზიცია აკეთებს, ლიდერად ირჩევენ ჩერგოს და გვარამიას და ნაცვლად იმისა, თბილისში ილაპარაკონ, მართლა როგორი საქართველო უნდათ და რაზე თანხმდებიან, „დაახვიეს“ რეგიონებში. 26 მაისამდე თვითონაც დაისვენეს და „ქოცებიც“ დაასვენეს.

**„ზოგადად, ბიძინა ივანიშვილი ჭკვიანი კაცია და გამოვრიცხავ, არ იცოდეს, ჩერგოს და გვარამიას ალიანსი 2028 წლამდე რომ ვერ მიატანს. შესაბამისად, 2028 წელს თუ აპირებ არჩევნებს, მათ ერთად შეკრებას, დაფინანსებას, კარგად ჩაცმა-დახურვას, გაპიარებას არანაირი შინაარსი არ აქვს, რადგან მანამდე მაინც აფეთქდება ბევრჯერ და ეს ამბავი არ გამოვა.**

**დავუშვათ, გინდა, გეგმა „ბ“ გქონდეს იმ შემთხვევისთვის, როცა ამერიკელებმა, ტრამპმა, ვიღაცებმა მოგთხოვეს ახალი არჩევნების დანიშვნა და გითხრეს, ჩვენთან თუ გინდა სიტუაციის დალაგება, არჩევნები უნდა ჩაატაროო. ამ დროისთვის აორგანიზებ ჯგუფს, ალიანსს, რომელთა ლიდერები არიან ჩერგო, გვარამია და ზუსტად იცი, რომ შანსი არ არის, ამ ხალხისგან რამე გამოვიდეს. ნებისმიერი კოალიცია დაიშლება მას შემდეგ, რაც ეს ხალხი სრულად წარმოაჩენს საკუთარ სახეს კოალიციის შიგნით“,** - აცხადებს **იაგო ხვიჩია.**

მმართველ გუნდში უკვე იციან, რატომ შეარჩიეს 26 მაისი და რეალურად, რა დგას ამ ინიციატივის უკან. ოპოზიციის მიერ დაანონსებულ აქციას გამოეხმაურა პარლამენტის ვიცე-სპიკერი **გიორგი ვოლსკი,** რომლის განცხადებით, საზოგადოება გაცილებით უკეთ არის ინფორმირებული, ვიდრე ადამიანები, ვინც გარედან მიღებულ შეკვეთებზე მუშაობენ. ვიცე-სპიკერის შეფასებით,



ოპოზიციას ქვეყნის უდიდესი ნაწილისთვის გამაერთიანებელი თარიღის დაპირისპირების დღედ გადაქცევა სურს.

**„აქციის მოსამზადებლად საჭიროა გარკვეული დაპირისპირების, ჯახის შექმნა, რამაც უნდა განაპირობოს საზოგადოების გარკვეული ნაწილის აღელვება ან გაღიზიანება. ამ გაღიზიანების ატმოსფეროს შექმნაზე მუშაობენ, რასაც ვერ მიაღწიეს ამ წლების განმავლობაში. ვერც მიაღწევენ იმიტომ, რომ საზოგადოება გაცილებით უკეთ არის ინფორმირებული და უკეთ აკეთებს ანალიზს, ვიდრე ადამიანები, ვინც გარედან მიღებულ შეკვეთებზე მუშაობენ.**

**გარედან მიღებული შეკვეთები არაკომპეტენტურია, ხშირ შემთხვევაში. ვერ ერკვევიან, საქართველოში რა ხდება. მარტა კოსმა არ იცის, რას წარმოადგენს საქართველოს, ქართველების დამოკიდებულება საკითხების მიმართ. თარიღები, რომლებიც ჩვენი გაგებით, გამაერთიანებელია საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის, ისევე როგორც საეკლესიო დღესასწაულები, მათთვის კარგი ასპარეზია იმისთვის, რომ დაპირისპირება იყოს უფრო სკანდალური, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. სწორედ აქედან გამომდინარეა შერჩეული 26 მაისი, მხოლოდ ის უნდათ, რომ მავნებლობის ხარისხი მეტი იყოს“,** – მიიჩნევს **გიორგი ვოლსკი.**



უმრავლესობის წევრის **ირაკლი ქადაგიშვილის** შეფასებით, 26 მაისი იმიტომ აარჩიეს, რომ საზეიმო დღის დაძაბულობის რეჟიმში გადაყვანა სურთ, რათა ესკალაციის, პოლიციასთან შეჯახების სურათი დადგან, რომ მერე დასავლეთიდან თქვან, თითქოს საქართველოში დემოკრატია ირღვევა. მისივე თქმით, ოპოზიციის პოლიტიკა საქართველოს დაზიანებაზეა აგებული და მათი ყველა ქმედება გათვლილია იმაზე, რომ რამენაირად, ქვეყანაში სიტუაცია დაძაბონ.

**„ყოველ კვარტალურად ხდება ხოლმე გარკვეული ახალი პლატფორმის, სამოქმედო გეგმის, ერთობის, მოსახლეობაში გასვლის დაანონსება, მაგრამ როგორც ვუყურებთ, ეს ყველაფერი არის ფუჭი, რადგან ამ სიტყვების უკან არის სიცარიელე. ეს სიცარიელე გამოიხატება იმაში, რომ მათი პოლიტიკა არ არის პოზიტივზე აგებული საქართველოსთან მიმართებაში. მათი პოლიტიკა არის აგებული საქართველოს დაზიანებაზე. მათ მიაჩნიათ, რომ საქართველო თუ არ დაზიანდა, სხვანაირად თავიანთი ავადმყოფური მიზნის მიღწევის საშუალება არ გააჩნიათ.**

**26 მაისი არის სახელმწიფო დღესასწაული, საზოგადოება ზეიმობს დამოუკიდებლობის დღეს და უნდათ, რომ შექმნან დაძაბულობის ალტერნატივა. როცა ასეთი მიზნები გაქვს, რა თქმა უნდა, პარტიული აქტივის იქით ვერ გადიხარ და მოსახლეობისგან არ გაქვს მხარდაჭერა“,** – განაცხადა **ირაკლი ქადაგიშვილმა.**

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ფიქრობს, რომ ყველასთვის, მათ შორის, ოპოზიციურად განწყობილი, მაგრამ მოაზროვნე ხალხისთვის ნათელია, თუ რა მძიმე ავანტიურაში სურს მორიგ ჯერზე ჩაითრიოს ქვეყანა „ნაცმოძრაობის“ ე.წ. ალიანსს და მასთან მიწებებულ ჯგუფებს.



**„26 მაისს, საზეიმო დღეს, კონტრმიტინგის მოწყობა ნიშნავს პირდაპირ პროვოცირებულ დაპირისპირებას ხალხთან და სამართალდამცავებთან. სრულიადაც არ გამოვრიცხავ, რომ მსხვერპლზე წავიდნენ, მით უმეტეს, თუ გარედან მხარდაჭერა მიიღეს. შესაბამისად, ისევ და ისევ ჩნდება კითხვა: როდემდე და სადამდე?“,** – აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

ანალიტიკოსის **გია აბაშიძის** შეფასებით, პოლიტიკურად კასტრირებულმა ნაცოპოზიციამ საპროტესტო ე.წ. „ეროვნული მობილიზაცია“ დააანონსა 26 მაისისთვის; საზოგადოებრივ განწყობებთან შეუთავსებელი ასეთი „პოლიტიკოსები“ ძნელად მოიძებნებიან მსოფლიოში.



**„ხალხის უმრავლესობისთვის მოძულებული ნაცსექტანტები მხოლოდ ევროკრატიული მხარდაჭერის იმედზე არიან. თუმცა, რამდენჯერაც „გაისროლეს“ მრავალმილიონიანი დესტრუქციული „ჭურვები“, იმდენჯერ საკუთარ თავს გაარტყეს და არა საქართველოს სახელმწიფოს. შემთხვევით, საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლიანმა გადაწყვეტილებამ არ მოუსწროს უსამშობლოებს“,** – წერს **გია აბაშიძე.**

**თამთა ქარჩავა**

# საგულისყურო ამონარიდები თბილისის მთავრობის სხდომიდან



**კახა კალაძე:**

**დიდი დიღმის დასახლების მეტროსადგურ „დიდუბესთან“ დამაკავშირებელი ტრამვაის ხაზის პროექტირებისა და მშენებლობისთვის გამოცხადებული ტენდერი გუშინ დასრულდა.**

მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა და შესაბამისი სატენდერო წინადადებები წარმოადგინა ოთხმა კომპანიამ და ერთობლივმა საწარმომ, მათ შორის სამი თურქეთში, ხოლო ერთი ჩინეთში არის რეგისტრირებული. ოთხივე პრეტენდენტი წარმოადგენს საკმაოდ მსხვილ და გამოცდილ კომპანიებს, რომელთაც არაერთი ანალოგიური პროექტი აქვთ განხორციელებული.

უკვე დაწყებულია წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური ანალიზი და გამოცხადებული ტენდერის პირობებთან შესაბამისობის დადგენის პროცესი, რასაც გარკვეული დრო დასჭირდება, რის შემდეგაც გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია და მასთან დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება. ტენდერი გამოცხადებული იყო აზიის განვითარების ბანკის (ADB-ის) შესყიდვის წესების შესაბამისად.

პროექტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, სამი ეტაპისგან შედგება – კონცეპტუალური პროექტი, დეტალური პროექტი და მშენებლობა, რომელთა ჯამური ვადა შეადგენს 36 თვეს.

* * *

**თბილისის მერია შესაბამისი საჭიროების მქონე მოქალაქეებისთვის „შინმოვლის“ პროგრამას ახორციელებს და დღეისთვის, 600-ზე მეტი მოქალაქის ბინაზე მომსახურების თანადამფინანსებელია.**



პროგრამა მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვას, პერსონალურ მოვლას, ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარებას, ასევე, მათი გარემოცვის ფსიქოსოციალური დახმარების გზით, კომპლექსურ ღონისძიებებს ითვალისწინებს. დახმარება, ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, მრავალდარგობრივი გუნდის მიერ მოქალაქის ბინაში ხორციელდება. შინმოვლით შეუძლიათ, ისარგებლონ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებულმა პირებმა, რომელთაც ფიზიკური უძლურების შეფასების სპეციალური კითხვარის შევსების შედეგად, ე.წ. ბართელის ინდექსის მიხედვით, არაუმეტეს 95 ქულა აქვთ. პროგრამაში ჩასართავად, მოქალაქემ ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა თბილისის მერიის ცხელ ხაზზე – 2 72 22 22 უნდა დარეკოს.

* * *

**თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა ორთაჭალაში, რუსთავი-თბილისის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მონაკვეთზე დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა დაიწყო.**

რამდენიმე კვირის წინ მდინარე მტკვრის ნაპირსამაგრი ჯებირი დაზიანდა, რის შედეგადაც სავალ ნაწილსა და ტროტუარზე ბზარები განვითარდა. პრობლემის დაფიქსირებისთანავე, უსაფრთხოების მიზნით, დაზიანებულ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა ნაწილობრივ შეიზღუდა და გატარდა ყველა აუცილებელი პირველადი ღონისძიება. პარალელურად, დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პროცესის ძირითადი მიზეზია გრუნტში მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების ინტენსიური ჩადინება, რასაც ემატება მდინარე მტკვრის ჰიდროდინამიკური ზემოქმედება ნაპირდაცვით კონსტრუქციებზე, ასევე, მიწისქვეშა წყლების დონის სეზონური მერყეობა. სამუშაოების დასრულებისთვის, დაახლოებით, ოთხი თვე იქნება საჭირო, დროის ამ მონაკვეთში კი ავტომობილებით გადაადგილება ნაწილობრივ შეიზღუდება. პროექტის ღირებულება 3,5 მილიონ ლარს შეადგენს.

* * *

**სამგორში, ორხევის დასახლებაში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის N2ა-ს მიმდებარედ რეკრეაციული სივრცე მოეწყობა. ამ ეტაპზე, უკანონო შემოღობვების დემონტაჟი განხორციელდა, რის შემდეგაც სამუშაოები 2 600 კვ.მ ფართობზე დაიწყო.**

პროექტის ფარგლებში, მოეწყობა მოსასვენებელი სივრცე და პავილიონი, ასევე, ბავშვთა გასართობი ზონა. დამონტაჟდება გარე განათებისა და სარწყავი სისტემა, ტერიტორია აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით და გამწვანდება. აქვე განხორციელდა წყლის რეზერვუარის დემონტაჟიც, რომელიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის. კიდევ ერთი სკვერი მოეწყობა ორხევის დასახლებაში – ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩაზე, N7 კორპუსის მიმდებარედ. 2 500 კვ.მ ფართობზე განთავსდება მოსასვენებელი სივრცე და პავილიონი, ასევე, ბავშვთა გასართობი და სპორტული სივრცეები. დამონტაჟდება გარე განათებისა და სარწყავი სისტემები, ტერიტორია აღიჭურვება შესაფერისი ინვენტარით და ჩატარდება გამწვანების სამუშაოები.

01.04.2026.

# „ეპიკური მრისხანება“ მინავლდა?!

(მესამე გვერდიდან)

The Washington Post-ის წყაროს თქმით, ნებისმიერი შესაძლო სახმელეთო ოპერაცია სრულმასშტაბიანი შეჭრა არ იქნება, არამედ მოიცავს რეიდებს, რომლებსაც სპეციალური ოპერაციების ძალები და ჩვეულებრივი ქვეითები ერთობლივად განახორციელებენ. გამოცემა აღნიშნავს, რომ ტრამპის ადმინისტრაცია მერყეობს ომის დასრულების შესახებ განცხადებებსა და მისი გაფართოების მუქარებს შორის.

ამერიკელი ოფიციალური პირების თქმით, **პრეზიდენტი ტრამპი განიხილავს სამხედრო ოპერაციას ირანიდან, დაახლოებით, 450 კილოგრამი ურანის ამოსაღებად. ინფორმაციას ამის შესახებ გამოცემა The Wall Street Journal-ი ავრცელებს. გამოცემა აღნიშნავს, რომ ეს სარისკო მისია, სავარაუდოდ, ამერიკული ძალების ქვეყნის შიგნით რამდენიმე დღით ან უფრო მეტი ხნით ყოფნას მოითხოვს.**

ოფიციალური პირების განცხადებით, **ტრამპს ბრძანების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. მათ ასევე დასძინეს, რომ პრეზიდენტი ამერიკელი სამხედროებისთვის მოსალოდნელ საფრთხეს განიხილავს. თუმცა, მათივე თქმით, პრეზიდენტი ზოგადად მაინც იზიარებს ამ იდეას, რადგან ის დაეხმარება მისი მთავარი მიზნის მიღწევაში – არ მისცეს ირანს ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობა. გამოცემის წყარო ამბობს, რომ პრეზიდენტმა ასევე მოუწოდა თავის მრჩევლებს, ზეწოლა მოახდინონ ირანზე, რათა ამ უკანასკნელმა მასალის გადაცემაზე თანხმობა ომის დასრულების პირობად გამოაცხადოს.**

პოლიტიკურ მოკავშირეებთან საუბრისას, **ტრამპმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ ირანელებს ამ მასალის შენარჩუნების უფლებას ვერ მისცემს და განიხილა მისი ძალის გამოყენებით ჩამორთმევის საკითხი, იმ შემთხვევაში, თუ ირანი მას მოლაპარაკებების მაგიდასთან ნებაყოფლობით არ დათმობს.**

არსებული ინფორმაციით, **სახმელეთო ოპერაციაში ჩართვაზე უარი თქვა თვით ისრაელმა და პენტაგონის შეთავაზებას უპასუხა, რომ შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ერთ სამხედროსაც კი ვერ დაახმარებს. სახმელეთო ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებენ ნატოს სახელმწიფოებიც. იმ შემთხვევაში, თუ ტრამპმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და, როგორც ჩანს, არ შეცვლის, ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ ამერიკელ სამხედროებს მოუწევთ ირანის წინააღმდეგ ომი, რაც გარდა იმისა, რომ იქნება რთული, დაკავშირებულია უდიდეს მსხვერპლთან.**

აშშ-ის პრეზიდენტის **დონალდ ტრამპის** განცხადებით, შეერთებულმა შტატებმა ირანში რეჟიმის ცვლილება უკვე განახორციელა, რადგან ქვეყნის ხელმძღვანელობის უმეტესი ნაწილი განადგურებულია.

**„რეჟიმის ცვლილება უკვე მოხდა – ერთი რეჟიმი სრულად განადგურდა, ყველა დაიღუპა. შემდეგი რეჟიმი თითქმის მთლიანად განადგურდა, მესამე რეჟიმთან კი სრულიად განსხვავებულ ადამიანებთან გვაქვს საქმე, ვიდრე ვინმეს აქამდე ჰქონია. ამას მე რეჟიმის ცვლილებას ვუწოდებ. შეერთებული შტატები სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებს ახალ და უფრო გონივრულ რეჟიმთან ირანში, ჩვენი სამხედრო ოპერაციების დასრულების შესახებ.**

**დიდი პროგრესია მიღწეული, მაგრამ რაიმე მიზეზით შეთანხმება მალე თუ არ იქნება მიღწეული, რაც, სავარაუდოდ, მოხდება და ჰორმუზის სრუტე დაუყოვნებლივ არ გაიხსნება ბიზნესისთვის, ირანში ჩვენს მშვენიერ ყოფნას დავასრულებთ მათი ყველა ელექტროსადგურის, ნავთობის ჭაბურღილებისა და კუნძულ ხარგის აფეთქებით, სრული განადგურებით, რომლებსაც ჯერ განზრახ არ შევხებივართ. ეს იქნება შურისძიება ჩვენი მრავალი ჯარისკაცისა და სხვებისთვის, რომლებიც ირანმა დახოცა და მოკლა ძველი რეჟიმის 47-წლიანი „ტერორის მმართველობის“ დროს“,** – წერს **ტრამპი** სოციალურ ქსელში.

თავის მხრივ ირანელი მაღალჩინოსანი აცხადებს, რომ თეირანი თავად განსაზღვრავს ომის დასრულების დროს და მზადაა, შეტევითი ოპერაციები ხანგრძლივად განაგრძოს. **„ეს ჩვენი ომია და არ შევწყვეტთ თავდაცვას, ვიდრე ტრამპსა და ნეთანიაჰუს ისტორიულ გაკვეთილს არ ვასწავლით. ქვეყნის სარაკეტო შეიარაღება გრძელვადიანი ოპერაციებისთვის მზადაა“...**

**პარალელურად, თეირანში მოხალისეთა რეგისტრაციის კამპანიის დაწყების შესახებ გამოაცხადეს, რომელშიც 12 წლის ასაკიდან შეიძლება მონაწილეობა. ირანული მედიის ცნობით, ინიციატივა ირანის პარამილიტარული დაჯგუფება „ბასიჯის“ მიერ გამოცხადდა, სლოგანით** – „სამშობლოს დამცველი მებრძოლები ირანისთვის“. **მოხალისეებს შესაძლებლობა მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ თავდაცვით საქმიანობაში, ლოჯისტიკურ მხარდაჭერასა და სამაშველო სამუშაოებში.**



ამასთან, ირანული მედიის მიერ გავრცელებული ვიდეოს მიხედვით, მოხალისეები, შეიძლება, ჩაერთონ „სადაზვერვო პატრულებში“ და ოპერატიულ პატრულირებაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთ მოხალისეს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს მონიტორინგთან ან ადგილობრივი უსაფრთხოების ოპერაციებთან დაკავშირებულ აქტივობებში.

ეს კი ნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთში ვითარება მწვავდება და უმართავი ხდება. ამ ომში აშშ-სა და ისრაელს მოკავშირეები არ ჰყავთ, სწორედ რომ რელიგიური ომის ფაქტორის გათვალისწინებით. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ ბრიტანელი ჯარისკაცები ირანში არ იქნებიან, რადგან ეს ბრიტანელების ომი არ არის და არ ჩაერთვებიან. იგივე პოზიცია აქვს ესპანეთს, რომელმაც დახურა საკუთარი საჰაერო სივრცე იმ თვითმფრინავებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ირანისა და ისრაელის სამხედრო ოპერაციაში „ეპიკური მრისხანება“. ესპანეთის საჰაერო სივრცეში შესვლა ასევე აკრძალული აქვთ იმ ამერიკულ თვითმფრინავებს, რომლებიც მესამე ქვეყნებში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ან საფრანგეთში არიან ბაზირებულნი.

**მადრიდის მსგავსად, აშშ-ისა და ისრაელის სამხედრო ოპერაციის მხარდაჭერა არ სურს ავსტრალიას. პრემიერ-მინისტრი ენტონი ალბანეზე აშშ-ის პრეზიდენტს დონალდ ტრამპს ირანში მიმდინარე ომის მიზნების განმარტებას სთხოვს. თავის მხრივ, დონალდ ტრამპი თავს ვალდებულად არ თვლის, რომ მოკავშირეებს სამხედრო კამპანიის შეფასების შესახებ განმარტებები მისცეს. ამერიკის თავდაცვის მდივანი ამბობს, რომ ამერიკა ბომბებით აწარმოებს მოლაპარაკებებს. ამაზე კომენტარები ზედმეტია!..**

**თამთა ქარჩავა**



# ქართველი მოზარდები ფაშისტური იდეოლოგიის ტყვეობაში

# სხვებს აწამებენ, საკუთარ ცხოვრებას იმახინჯებენ!



**საქართველოში ნეონაცისტური დაჯგუფებების გააქტიურება და მათში არასრულწლოვნების მასობრივი ჩართულობა ბოლო პერიოდის ყველაზე საგანგაშო გამოწვევად იქცა. 2026 წლის 30 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მორიგი მასშტაბური სპეცოპერაციის შესახებ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის შედეგადაც თბილისში რადიკალური იდეოლოგიის მხარდამჭერი 13 პირი დააკავეს. ეს უკვე მესამე მსხვილი და გახმაურებული დაკავებაა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პოლიცია სისტემურად მიჰყვება ამ დანაშაულებრივი ქსელის კვალს.**

## 30 მარტის სპეცოპერაცია და დაკავების დეტალები

**თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ვაჟა სირაძემ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, რომ კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, დაკავებულია 13 პირი, რომელთაგან შვიდი არასრულწლოვანია. გარდა ამისა, ამავე საქმეზე დამატებითი ბრალი წარედგინება კიდევ ოთხ პირს, რომლებიც უკვე იმყოფებიან პენიტენციურ დაწესებულებაში სხვა დანაშაულებისთვის.**



გამოძიებამ დაადგინა, რომ დაჯგუფების წევრები საკუთარ თავს ნეონაცისტებად მოიხსენიებდნენ და ფაშისტური იდეოლოგიით ხელმძღვანელობდნენ. **ვაჟა სირაძის** თქმით:

**„ცნობადობის მოხვეჭის, ფაშისტური იდეოლოგიის პოპულარიზაციისა და ნეონაცისტური ქსელის წარმომადგენლების გავლენების გაზრდის მიზნით, ისინი რადიკალურ დამოკიდებულებას იჩენდნენ მსხვერპლთა მიმართ და განსაკუთრებული სისასტიკით, სხვადასხვა ბლაგვი და ბასრი საგნის გამოყენებით, მათ შორის, ხელკეტებითა და ე.წ. კასტეტებით ძალადობდნენ სამიზნე ობიექტებზე. განსაკუთრებით**



**სასტიკად უსწორდებოდნენ მათ, ვინც ფაშისტურ იდეოლოგიას არ იზიარებდა“,** — განაცხადა **სირაძემ.**

* * *

**დანაშაულის სერიოზულობაზე მეტყველებს ბრალდებულების საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგები.**

სამართალდამცველებმა ამოიღეს არსენალი, რომელიც პირდაპირ კავშირშია მათ აგრესიულ საქმიანობასთან: ცეცხლსასროლი, ხმოვანი და ცივი იარაღები; ნიღბები, ხელკეტები და ე.წ. „კასტეტები“; ნაცისტური სიმბოლიკის მქონე სხვადასხვა ნივთები; მობილური ტელეფონები და ტექნიკა, სადაც ინახებოდა დანაშაულის ამსახველი მასალები.

სირაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაჯგუფების წევრები წამებისა და ღირსების შემლახველი ქმედებების ამსახველ ფოტო-ვიდეომასალას მობილური ტელეფონით იღებდნენ და „სხვადასხვა ინტერნეტ პლატფორმაზე მიზანმიმართულად აქვეყნებდნენ“.

გამოძიების მასალებით იკვეთება, რომ ამ ჯგუფებისთვის ძალადობა თვითმიზანი იყო. დაზარალებულია ათამდე პირი, მათ შორის, ორი არასრულწლოვანი. თუმცა, აგრესია მხოლოდ გარეშე პირებისკენ არ იყო მიმართული. ვაჟა სირაძის განცხადებით:

**„ინტერესთა კონფლიქტისა და უთანხმოების საფუძველზე, სხვადასხვა ნეონაცისტური დაჯგუფების წევრები ერთმანეთსაც სასტიკად უსწორდებოდნენ“.**

ეს უკვე დაკავების მესამე ტალღაა: პირველი დიდი დაკავება 2025 წლის ივლისში, 15 წლის ბიჭის წამებას მოჰყვა, მეორე ტალღა კი 2026 წლის 16 იანვარს განხორციელდა, როდესაც 16 პირი დააკავეს. პოლიცია სწორედ 16 იანვარს დაკავებულების ტელეფონების გაშიფვრის შემდეგ გავიდა 30 მარტს დაკავებულ პირებზე.

## 15 წლის ბიჭის წამება და კავშირი ავალიანის მკვლელობასთან

**ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი ფაქტი, რომელიც ამ დაჯგუფებების მოქმედების სტილს აღწერს, 15 წლის ბიჭის წამების საქმეა. პროკურატურის მასალების მიხედვით, „ფაშისტური“ დაჯგუფების წევრებმა მოზარდი მოტყუებით მიიყვანეს მიტოვებულ შენობაში, სადაც მას პისტოლეტებისა და დანების მუქარით მუხლებზე დაჩოქება აიძულეს. დაზარალებულს აიძულეს, ვიდეოზარით ბოდიში მოეხადა დაჯგუფების ე.წ. ლიდერისთვის ლევან აბესაძისთვის.**

სასამართლომ დაადგინა, რომ მოზარდს სხეულის სხვადასხვა არეში ცივი იარაღით დაზიანებები მიაყენეს, რასაც თან სდევდა მორალური ტანჯვა. ამ საქმეზე აბესაძესა და გიორგი მუმლაძეს 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ. საგულისხმოა, რომ აბესაძის ადვოკატი მას „წარმატებულIT მენეჯერად“ ახასიათებდა, თუმცა ბრალდებამ დაადასტურა მისი კავშირი ორგანიზებულ ჯგუფურ წამებასთან.

ნეონაცისტური დაჯგუფებების საქმე კიდევ უფრო მძიმე კონტექსტს იძენს მასწავლებლის **გიგა ავალიანის** მკვლელობის ფონზე. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ მკვლელობაში ბრალდებული არასრულწლოვნებიც, შესაძლოა, ნაცისტური დაჯგუფებების წევრები იყვნენ. გამოძიება მკვლელობის საქმეზე ამ გარემოებასაც აქტიურად სწავლობს. თუ ეს კავშირი დადასტურდა, გამოიკვეთება ტრაგიკული სურათი — იდეოლოგიური მანიპულაციის მსხვერპლი მოზარდები, რომლებიც ვირტუალური რადიკალიზაციიდან რეალურ, სასიკვდილო ძალადობაზე გადავიდნენ.

დღევანდელი მდგომარეობით, ნეონაცისტური დაჯგუფებების 50-მდე წევრია იდენტიფიცირებული ან დაკავებული. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის მძიმე მუხლებით, მათ შორის 144-ე პრიმა მუხლით (წამება), რაც 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს საზოგადოებას სიფხიზლისკენ და სთხოვს, მსგავსი დანაშაულების სულ მცირე ნიშნების არსებობისას, დაუყოვნებლივ შეატყობინონ სამართალდამცავებს.

## რადიკალიზაციის მიზეზები და მოზარდების მოწყვლადობა

**ფსიქოლოგი ჯანა ჯავახიშვილი ამბობს, რომ ძალიან სამწუხაროა ასეთი დაჯგუფებების განვითარება ჩვენს სინამდვილეში, სადაც ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი — არასრულწლოვნები აღმოჩნდნენ ჩათრეულები.**

ფსიქოლოგი იმედოვნებს, რომ ამ დაკავებებით პროცესი შეჩერდება და თუკი სადმე კიდევ არსებობს მსგავსი ჯგუფები, შსს მათ გამოაშკარავებას შეძლებს.

**„ამ ყველაფერს ყველაზე ტრაგიკულ ელფერს არასრულწლოვნების მოქმედება სძენს. ფაქტობრივად, ეს არის ბანდფორმირებები, რომლებიც არასრულწლოვნებისგან შედგება. მიზეზი კომპლექსურია. ის მოზარდები, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები აღმოჩნდნენ და ადვილად ჩაითრიეს ამ დაჯგუფებებმა, ხშირად თავადაც ძალადობის მსხვერპლები არიან. უნდა გაირკვეს, რა კონტექსტში იყვნენ ეს ბავშვები ძალადობის მსხვერპლები, შესაძლოა, წარსულში თავადაც იგივე ბანდფორმირებების მხრიდან განიცადეს ძალადობა, ან ეს იყო ოჯახური დისფუნქცია.**

**ასევე საინტერესოა, რა ხდებოდა სკოლაში, ხომ არ იყვნენ ეს ბავშვები ბულინგის მსხვერპლები. ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად ეფექტიანად შეუძლიათ სკოლებს ბავშვების მონიტორინგი: ხომ არ შეიცვალა მათი ქცევა, ხომ არ აცდენენ სკოლას, ხომ არ გამოიყურებიან სხვანაირად, ვიდრე აქამდე. მათ საუბარს, ქცევის მანერას, თანატოლებისა თუ მასწავლებლების მიმართ დამოკიდებულებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.**

**გამორიცხულია, რომ ამ ბავშვების ქცევაში მშობლებს, მასწავლებლებსა თუ ახლობლებს რაიმე განსაკუთრებული არ შეემჩნიათ. მაგალითად, მომატებული აგრესია, სოციალური უნარების ნაკლებობა, ან ის, თუ როგორ გამოხატავენ გაბრაზებას. ბევრი ნიუანსია, სადაც ყველა მხარე ყურადღებითა და ზრუნვით უნდა იყოს ჩართული. სწორედ ამ ყველაფრის იგნორირება გვაძლევს იმ მძიმე შედეგს, რაც ახლა ვნახეთ“,** — ამბობს ფსიქოლოგი.



* * *

**ჯანა ჯავახიშვილის თქმით, კარგად არის ცნობილი, რომ კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში აგრესიის მეტი ალბათობა არსებობს.** საქართველო სწორედ ასეთი ქვეყანაა, შესაბამისად, ეს პრობლემა ეკონომიკურ კეთილდღეობასთანაც არის გადაჯაჭვული

**„დაბალი ეკონომიკური მდგომარეობა და სიღარიბე, რა თქმა უნდა, ზრდის მოზარდებში აგრესიას. რაც მთავარია, სოციალური სამსახურები და მუშაკები სრულ მზადყოფნაში უნდა იყვნენ. ასევე, აუცილებელია მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ყურადღების გამახვილება, რადგან მათი ფსიქიკა ყველაზე მოწყვლადია. ოჯახებში ხშირად ბავშვებისთვის არ სცალიათ; ბევრი მშობელი ემიგრაციაშია და შვილებს თავად ვერ ზრდიან, რაც ბავშვების ფსიქიკაზე აისახება.**

**ამ აგრესიის ძალიან დიდი ინდიკატორი ასევე სოციალური ქსელებია. ვხედავთ, რომ ბავშვები ამ სისასტიკეს იღებდნენ და ინტერნეტში ტვირთავდნენ. იმისიც კი არ ეშინოდათ, რომ დაიჭერდნენ — გარისკეს, ოღონდ საკუთარი სისასტიკის ტირაჟირება მოეხდინათ. წარმოიდგინეთ, რამხელა აზარტში არიან, როდესაც ამას აკეთებენ. ალბათ, ამის მიზანი დაჯგუფებაში ახალი წევრების მიზიდვაც იყო“,** — აღნიშნავს ფსიქოლოგი.

**ლიკა ბერიკაშვილი**





# ვიცოდეთ წარსული, თვალი გავუსწოროთ მომავალს

**დავით ახლოური,**

საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი

## აღდგომის მძიმე დღე ოძისში

**ბევრ ტრაგიკულ, ისტორიაში ტკივილად შემორჩენილ ფურცელს ინახავს ქსნის ხეობის მრავალსაუკუნოვანი მატიანე, მათ შორის აღსანიშნავია, ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა „სახალხო გაზეთის“ 1912 წლის 1 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სტატია „მდინარის მსხვერპლნი“, რომელიც იმავე წლის 24 მარტს აღდგომის შაბათს, ღამით დატრიალებულ ტრაგედიაზე მოგვითხრობს.**



როგორც წერილის დასაწყისში ავტორი ა. დარეჯანაშვილი აღნიშნავს: თბილისიდან კასპში ამოსულან ოძისის მცხოვრებნი: **„დედა, გათხოვილი ქალი, ოთხი წლის ბავშვი (ქალი) ფარჩუკაშვილები და ერთიც ქმრიანი ქალი პავლიაშვილისა. მათ კასპის სადგურზე ურმით დახვედრიან ბებრის სიძე და გათხოვილი ქალის ქმარი“.**

შუადღისით, 12 საათზე, მგზავრები კასპიდან ოძისის მიმართულებით წასულან. ლამისყანაში ნათესავებთან შეჩერებულან. რადგან უკვე საღამო იყო, ახლობლებს უთხოვიათ დარჩენილიყვნენ „რადგანაც მდ(ინარე) ქსანი წვიმების გამო ძლიერ ადიდებული ყოფილა. მგზავრებს უარი განუცხადებიათ და გასდგომიან გზას. როდესაც მისულან მდ. ქსნის ნაპირას, კაცები შეშინებულან, იმ ბნელ ღამეს წყალში შეუძლებელი ყოფილა გასვლა. ბებერს ჩხუბი აუტეხნია კაცებისათვის, რაღა კაცები ხართო ამ წყალშიაც კი ვერ გაგიბედნიათ გასვლაო. მე ვერასგზით ვერ დავრჩებიო გაუსვლელი, რადგანაც ლიტონიაზე მინდა დავესწროვო“.

კამათისა და მითქმა-მოთქმის შემდეგ კაცებს წყალში შესვლა გაუბედიათ. იმ ღამეს ქსანი ორ ტოტად მოედინებოდა თურმე... პირველი ტოტი მშვიდობიანად გადაუვლიათ. **„მეორე პატარა ტოტში რომ შესულან, საქონელს ვერ აუტანია ურემი, დაუქვეითებია, წყალს ძალა დაუტანებია და გადაუბრუნებია... საქონელს თავის თავისთვის უშველნია, კაცები ბევრი წვალების შემდეგ ძლივს გამოსულან ცოცხალ-მკვდარი; სამი დედაკაცი და ერთი ქალი წყალს უმსხვერპლნია“.**

მთელი ოძისი ფეხზე დამდგარა ამ საშინელი ამბის გაგების შემდეგ, „ყველანი ჩაცვივდნენ წყალში, დაუწყეს მკვდრებს ძებნა“. იმ ღამეს მხოლოდ მოხუცი ქალი და მისი შვილიშვილი იპოვეს, აღდგომის დილით კი ორი ქმრიანი ქალის გვამსაც მიაკვლიეს. ხუთი ცხედარი დაასაფლავეს ოძისელებმა: **„ერთი იქაური მღვდლის 12 წლის მოსწავლე ქალი, ორი დედაკაცი და ერთი ბავშვი ერთ ოჯახიდან, და ერთი დედაკაცი მეორე ოჯახიდან. აღდგომის დღეს... ოძისელებმა იგლოვეს მთელი დღე“...**

ვიღას ახსოვდა ლიტანიობა, ყველას ნამტირალევი სახე ჰქონდაო – წერდა ავტორი, რომელიც მსგავსი უბედურების თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებას სთავაზობდა, წყალდიდობის დროს, მდინარის სიახლოვეს თითო ყარაული მაინც დაეყენებინათ. მაგალითისთვის ზაქათალის ოლქი მოჰყავს, სადაც „იქაური ოლქის უფროსის განკარგულებით ყოველ წელს წყალდიდობის დროს თითო მდინარეზედ აყენებენ სამ ოთხ ყარაულს, წყალში გამსვლელ-გამომსვლელისთვის მისაშველებლად“.

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“ – გვაუწყებს ხალხური სიბრძნე და პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, ურმის გადაბრუნების შემდეგ, დარეჯანაშვილის მითითებული ეს გზა, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო იმ დროისთვის.

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ 2025 წელი №108, 109–110, 111–119, 120–121, 123, 125, 126, 145, 150, 157–158, 164 2026 წელი №18, 22, 24, 37**



## მისტიკური ყელის ტბა

**ყელის ტბა მდებარეობს ახალგორის მუნიციპალიტეტში, ყელის ვულკანურ ზეგანზე, ზღვის დონიდან დაშორებულია 2914 მეტრით, სარკის ფართობი 1, 28, აუზის ფართობი 2 9, 9 კვ.კმ.-ს შეადგენს. ტბის სიგრძე – 2731, სიგანე – 1216, ხოლო მაქიმალური სიღრმე 63 მეტრია. წელიწადის უმეტესი ნაწილი (7-8 თვე) ყინულითაა დაფარული. ტბაში თევზი არ ბინადრობს. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით.**

**ქსნის ხეობის მკვლევარის, ისტორიკოს ვიტალი ქენქაძის აღწერით** „ტბის წყალი მტკნარია, ძლიერ ცივი, სასიამოვნო გემოსი და ზურმუხტის ფერისაა... ტბის შემოგარენი და მდინარე ქსნის სათავეები საუკუნეების განმავლობაში ქსნის ხეობელთა ცხვარ-ზატკნის საუკეთესო და ყუათიან საძოვრებადაა მიჩნეული“. **ზემოთ ნათქვამს ეხმიანება 1918 წლის 5 ივნისის გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის „ქართლში გადმოსავალი გზები კავკას(იის) მთებზე“ პროლოგი:** „უწინ ამ, გზების დარაჯათ ქართველი მოსახლეობა ყოფილა, ახლა კი იქ ქართველი აღარავინ სცხოვრობს, გარდა მეცხვარეებისა, რომლებსაც ორი თვის განმავლობაში აქ ცხვარი უყენიათო“.

არაერთი საინტერესო თქმულება შემოგვინახა ქართულმა ფოლკლორმა, მათ შორის ყელის ტბასთან დაკავშირებული. ქსნური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, ყელის ტბის მიდამოებში უცხოვრია ერთ მეცხვარეს, რომელიც ნაყოფიერ ალპურ საძოვრებს ცხვრის გამოსაკვებად იყენებდა. ერთი ნაკლი ჰქონია ძველად ამ ადგილს – უწყლოობა. დაუკრავს წერაქვი მწყემსს და წყალს ჯერ ჟონვა დაუწყია, მერე მძლავრად ამოხეთქილა. შეშფოთებულ მეცხვარეს წყლის შესაკავებლად სიპის ქვა დაუდვია. საჭიროების შემთხვევაში აიღებდა სიპს, ცხვარს წყალს დაალევინებდა და ისევ დააფარებდა.

**ერთ დღესაც, მოუცლელობის გამო კაცს ცოლი გაუგზავნია სამწყემსურში. დავიწყნია ქალს ჭისთვის სიპის დაფარება.** „გათენდა მეორე დილა და ჰოი საკვირველება... ღამით იმდენი ედინა წყალს, რომ მთელი ის უზარმაზარი ტაფობი... დაეფარა, მთათა შუა ყელი მოენახა და ეწყო დენა. ყორის ქვით ნაგები ბაკები აღარსად ჩანდნენ. ცხვარს კი საშიშროებისთვის თავი დაეღწია და ნოტო-ნოტო დაქსაქსულნი, მაღალი მთის ფერდობებზე გაჩერებულიყვნენ“. **ასე გაჩენილა ყელის ტბა, საიდანაც იწყება ქსნის ხეობა.**

**ლეგენდა ლეგენდად რჩება, მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა გაზეთ „საქართველოს“ ზემოთ ხსენებულ ნომერში ანონიმი ავტორის მონათხრობი... როგორც იგი „ედისის გადასავალზე“ საუბრისას აღნიშნავს, „ამ გზით ამ თხუთმეტი წლის წინათ (დაახლოებით** 1903 წელს – დ.ა.) **გრაფინია უვაროვისა გადმოვიდა პატარა ეტლით, რომელიც ალაგ-ალაგ დაეშალათ და ისე ხელით გადმოეტანათ, ამ გზით ხევების ძელებს სარებით გადიტანენ ხოლმე პირიიქით ოსებისგან. ეს გზა უერთდება სადგურ კობს, – სამხედრო გზაზე“. მანამდე კი, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსების ცხენოსანი რაზმი შეუწირავს მისტიკურ ყელის ტბას:** „ამ გზით გადმოვიდა ამ ასი წლის წინად რუსების ცხენოსანი რაზმი ზარბაზნებით, რომელიც შემთხვევით ყინულ გადაკრულ ყელის ტბაში დაიღუპა. მგონი მაისის თვე იყო, ჯერ ისევ ყინულგადაკრული ტბა თოვლით იყო დაფარული. გზის მაჩვენებელი მოსტყუვდა, ზედ შეაყენა რაზმი, ყინული ჩაიმტვრა და დაიღუპა“.

რუსების ყელის ტბის მიდამოებში გამოჩენა 1804 წლის მთიულეთის გლეხთა აჯანყების პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს. აჯანყებამ მოიცვა ხევი, მთიულეთი, ქსნის ხეობა, ანანური და დუშეთი. აჯანყებულები რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და გლეხების მიმართ გამოჩენილი სასტიკი დამოკიდებულების გამო გამოთქვამდნენ პროტესტს. აჯანყებულთა ჩასახშობად რუსეთიდან დამატებითი ჯარები გამოიხმო წარმოშობით ქართველმა სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწემ, ასტრახანის სამხედრო გუბერნატორმა და საქართველოს მთავარსარდალმა, ინფანტერიის გენერალმა პავლე ციციანოვმა. 3 000 მეომარი და 30 ქვემეხი აღმოჩნდა გარუსებული ქართველის განკარგულებაში გენერალ ნესვეტაევის ხელმძღვანელობით. 19 ოქტომბერს ანანურში შეერთებულან ნესვეტაევისა და კავკასიის მთავარმართებლის ჯარები. მთიულთა წინააღმდეგობის გატეხვის შემდეგ ციციანოვი ლიახვის ხეობაში შეჭრილა... სავარაუდოდ, სწორედ ამ რუსული დამსჯელი რაზმის ნაწილები შთაუნთქავს ყელის ტბას.

**(გაგრძელება იქნება)**

სულიერება

## ლაზარეს შაბათი

**4 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ლაზარეს შაბათს აღნიშნავს.**

ყოველი ერი თავის ენაზე ადიდებს ღმერთს, მაგრამ არც ერთ ერს არ მიუნიჭებია საკუთარი ენისთვის სიცოცხლე მხოლოდ ღვთის დიდებისთვის. ქართველი ერი აქებს და განადიდებს თავის ენას ღვთის სადიდებლად და სწამს, რომ ღმერთი აკურთხებს მაკურთხებელთა მისთა, სჯერა, რომ ქართული ენა ღვთაებრივი ცეცხლისგან ანთებული ჩირაღდანივით ნათლის მომფენიც იქნება და ბოროტების დამწველიც.

ცნობილია, რომ 1985 წლიდან საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, საეკლესიო კალენდარში შეიტანა ქართული ენის დღესასწაული და აღნიშვნის დღედ განაჩინა ლაზარეს შაბათი. ამით ოფიციალურად აღიარებულია მართლმორწმუნე ქართველი ერის ჭვრეტისა და სურვილის იდუმალი ხმა: არასდროს უღალატოს მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებას და უფლის მიერ გაცოცხლებული ლაზარეს მსგავსად, ყველაზე ცხოველ მოწმედ დაუდგეს ქრისტეს ღვთაებრიობას.

## ბზობა-ბაიაობის კვირა

**იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში 5 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას ანუ ბზობას უწოდებენ. ბზობა ყოველთვის აღდგომის წინა კირა დღეს ემთხვევა.**

აი, როგორ აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას.

„ერი მრავალ, რომელ – იგი მოსრულ იყვნენ დღესასწაულსა და რამეთუ ესმა ვითარმედ იესო მოვალს იერუსალიმს, მოიღეს რტოები დანაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისსა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, მეუფე ისრაელისაითა“!

...მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. იერუსალიმისკენ დიდებით მიმავალს, ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა ხელში და ისე ეგებებოდა მაცხოვარს – ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისსა, კურთხელ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

...ღმერთი თითოეულ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კიცვზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის რტოებივით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში.

გიული ლიპარტია

## პარადოქსების ეპოქა

**აშშ-ის ჟურნალ „ფორინ პოლისიში“ (Foreign Policy)** გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ტრამპი ირანთან ომს აგებს: ისლამურმა რესპუბლიკამ ერთთვიან დაბომბვებს გაუძლო. სწორედ ამით გამოიხატება მისი გამარჯვება“**, რომლის ავტორია **რავი აგრავალი** – გამოცემის მთავარი რედაქტორი. პუბლიკაციაში გაანალიზებულია ირანის წინააღმდეგ მიმართული აშშ-ისრაელის ომის ასპექტები, კონფლიქტის მიმდინარეობა და მისი პერსპექტივა.

**„როგორც არ უნდა დამთავრდეს ომი, აშშ თავს გამარჯვებულად ვერ ჩათვლის, რადგან დონალდ ტრამპის არცერთი მიზანი არ შესრულებულა და არც შესრულდება სამომავლოდ“**, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

**გთავაზობთ სტატიას შემოკლებით:**

# ტრამპი ირანთან ომს აგებს!..



**უკვე ერთი თვე გავიდა ომის დაწყებიდან. ისლამური რესპუბლიკა არ დაცემულა და რადგანაც ირანმა ორი სახელმწიფოს – აშშ-სა და ისრაელის ყოველდღიურ დაბომბვებს გაუძლო, ეს უკვე თეირანის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.**

სურს თუ არა ამერიკას ირანის წინააღმდეგ მიმართულ ომში წარმატების მიღწევა? გააჩნია ამ კითხვას ვის დაუსვამთ. კვლევითი ცენტრის (Pew Research Center) მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რომლის შედეგები გასულ კვირას გამოქვეყნდა, ამერიკელთა 51% გმობს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მოქმედებას, 37% კი მხარს უჭერს. ციფრები მთლიანობაში შეესაბამება დონალდ ტრამპის საერთო რეიტინგს და აჩვენებს, რომ ამერიკულ საზოგადოებაში პარტიული ხაზით პოზიციების ღრმა განსხვავებაა: 10 რესპუბლიკელიდან ირანთან ომს მხოლოდ 7 იწონებს, ხოლო 10 დემოკრატიდან მხოლოდ 1.

**ირანზე აშშ-ისრაელის ერთობლივი თავდასხმის „წარმატება“ სხვა მონაცემებითაც შეიძლება შეფასდეს, მაგალითად, ზიანის მასშტაბის მიხედვით. ამ მაჩვენებლით, რასაკვირველია, აშშ-მა და ისრაელმა ირანს უფრო დიდი ზიანი მიაყენეს, ვიდრე თვითონ განიცადეს: ერთი მხრივ, განადგურებულია ირანის მმართველი რეჟიმის ლიდერები, განადგურებულია სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ძალები, დიდი ზარალი მიიღო ირანის ბირთვულმა პროგრამამ და ბალისტიკური რაკეტების გაშვების სისტემებმა, ძალიან დასუსტდა ირანის რეგიონული მოკავშირე – ლიბანის დაჯგუფება „ჰეზბოლა“. მეორე მხრივ, ამ ყველაფრის ფონზე, ირანმა მაინც მოახერხა ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვა, რითაც ფაქტიურად კოლაფსში ჩააგდო პლანეტის ერთ-ერთი საკვანძო სავაჭრო-სატრანსპორტო მარშრუტი და რისკის ქვეშ დააყენა მსოფლიოს ენერგოუსაფრთხოება.**

ანუ ისეთი პირი უჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იგებს ბრძოლებს, მაგრამ აგებს ზოგადად ომს. წესით, როცა ყოველდღიური დაბომბვების შედეგად ქვეყნის სამხედრო პოტენციალი ნადგურდება, ირანს არაფრის გაკეთება აღარ უნდა შეეძლოს, მაგრამ რეალურად ისლამური რეჟიმი ცოცხალია და მოწინააღმდეგეს საკმაოდ საგრძნობ, მტკივნეულ დარტყმებს აყენებს. ამ ფაქტორის გამო ირანის ისლამური რესპუბლიკა უფრო მომგებიანად გამოიყურება. ამტანობა და თავის გადარჩენა ყოველთვის იყო ისლამური რეჟიმის სტრატეგიული მიზანი ომის შემთხვევაში. ის, რომ დონალდ ტრამპი ღიად გამოხატავს უკმაყოფილებას და იძულებულია ირანთან მოლაპარაკებაზე წავიდეს – მისი კაპიტულაციის ნაცვლად, იმის მაჩვენებელია, რომ მოწინააღმდეგის სწრაფი დამარცხება, რაზედაც იგი ოცნებობდა, არ მოხერხდა.

**პირველი მიზეზი, რის გამოც აშშ შეიძლება წაგებულად ჩაითვალოს, არის ვაშინგტონის მაქსიმალისტური მიზნები ომის დასაწყისში. ვიდეოში, რომელიც დონალდ ტრამპის სოციალურ ქსელში 28 თებერვალს გამოქვეყნდა, პრეზიდენტმა მიანიშნა, რომ იმედი აქვს არამარტო რეჟიმს შეცვლის, არამარტო გაანადგურებს ირანის ბირთვულ და სარაკეტო პროგრამებს და ბოლოს მოუღებს თეირანის რეგიონულ ამბიციებს, არამედ არ მისცემს თეირანს ბირთვული იარაღის დაუფლების ნებასაც.**

არცერთი ამ მიზნებიდან დღემდე მიღწეული არ არის: ირანს ლიდერები მოუკლეს, მაგრამ ქვეყნის მართვის მექანიზმი მაინც მოქმედებს; ირანს რაკეტების გამშვები დანადგარები „აუფეთქეს“, მაგრამ ისრაელი და არაბული სახელმწიფოები რაკეტებით მაინც იბომბება. „ჰეზბოლა“ „დასუსტებულია“, მაგრამ მაინც იბრძვის და მას იემენელი ხუსიტებიც უერთდებიან; ირანის ბირთვული პროგრამა და გამდიდრებული ურანი „განადგურებულია“, მაგრამ სინამდვილეში ის სადღაც მთებშია ჩამარხული და ქვეყნის ლიდერების ახალ თაობას ელოდება – თანაც ისეთს, რომელსაც შურისძიების წყურვილი ექნება.

**მეორე მიზეზი, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს ომი აშშ-ისათვის „ჩავარდნად“, არის უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი, რომელიც ირანმა ამერიკას და საერთოდ, მსოფლიოს მიაყენა: ავიასაწვავზე ფასები 120%-ით გაიზარდა, ფასებმა Brent-ის მარკის ნავთობზე, რომელიც მსოფლიოს ფასების ეტალონს წარმოადგენს, 87%-ით მოიმატა. რა თქმა უნდა, ეს გამოწვეულია იმით, რომ ირანმა ჩაკეტა ჰორმუზის სრუტე, რომლის ტრანზიტითაც მსოფლიოს ქვეყნები მოხმარებული ნავთობისა და თხევადი გაზის 20%-ს იღებს. გარდა ამისა, ირანმა ზუსტი სარაკეტო დარტყმები მიაყენა ყატარისა და ქუვეითის თხევადი გაზის მწარმოებელ ქარხნებს. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ომამდე ჰორმუზის სრუტით გადიოდა ჰელიუმის მსოფლიო მიწოდების ერთი მესამედი (ეს ელემენტი აუცილებელია ნახევარგამტარებისა და სასუქების წარმოებისთვის), ანუ თუ ჰორმუზის ბლოკადა გაგრძელდება, მიკროსქემების და სასუქების ერთი მესამედის წარმოება ეჭვქვეშ დადგება.**

აშკარაა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა „ხელების აწევასა და ჩაბარებას“ არ აპირებს. საერთაშორისო კომპანია GeoPoll-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ეგვიპტეში, კენიაში, ნიგერიაში, პაკისტანში, საუდის არაბეთში და სამხრეთ აფრიკაში რესპოდენტთა 19%, ომით გამოწვეული ზარალის გამო, ირანს ადანაშაულებს, 29% – ამერიკის შეერთებულ შტატებს და 38% – ისრაელს. აშშ-სა და ისრაელის ბრალეულობის დონე იმიტომ არის შედარებით მაღალი, რომ ორივემ ომი დაიწყეს იმ დიპლომატიური მოლაპარაკების ფონზე, რომლის შედეგი, ნეიტრალურ ექსპერტთა დასკვნით, დადებითი უნდა ყოფილიყო.

**მესამე მიზეზი, თუ რატომ აგებს ომს აშშ, არის ის, რომ ერაყის ოპერაციისაგან განსხვავებით (რომელიც ასევე „ჩავარდნად“ შეფასდა ჯორჯ ბუშ-უმცროსისთვის), ირანის მოსახლეობა, თვით ოპოზიციაც კი, შიგნითაც და გარეთაც, ომს მხარს არ უჭერს. აშშ-ის ერთადერთი რეალური მოკავშირე ისრაელია, რომელმაც ამ ომის გამო იმდენი კრიტიკა და დაგმობა დაიმსახურა, როგორიც მთელ თაობას არ ახსოვს. დონალდ ტრამპი უკიდურესად უხერხულ სიტუაციაში ჩავარდნილი: მან ჯერ ნატოელ მოკავშირეებს მიმართა – დამეხმარეთო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან დაინახა – არცერთ ნატოელს ფაქტიურად ხელი არ გაუნძრევია მის დასახმარებლად, იხტიბარი არ გაიტეხა და „ამაყად“ განაცხადა – საერთოდ არ მჭირდება თქვენი დახმარებაო. ომმა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობას ძირი გამოუთხარა – ვაშინგტონმა საკუთარ თავს ისეთი რეპუტაცია შეუქმნა, როცა იგი, სისტემის ლიდერი, თვითონ არღვევს მის მიერვე შექმნილ სამოქმედო წესებს.**

**მეოთხე მიზეზი – ომმა მოულოდნელად აშშ-ის გლობალურ მოწინააღმდეგეებს დამატებითი ფულის მიღებისა და გამდიდრების შესაძლებლობა მისცა. თეთრი სახლი, ნავთობზე ფასების შემცირების მიზნით, იძულებული გახდა სანქციები მოეხსნა ირანისა და რუსეთისათვის. პარადოქსული ფაქტია: ირანი ნავთობის გაყიდვით დღეს უფრო მეტ ფულს იღებს, ვიდრე ომამდე იღებდა. მოსკოვი დღეში 150 მილიონ დოლარს იღებს, რაც დაგეგმილი არ ჰქონია და კრემლისთვის დამატებით შემოსავალს წარმოადგენს უკრაინის წინააღმდეგ ომის გასაგრძელებლად. რაც შეეხება ჩინეთს: ერთი მხრივ, პეკინი პრობლემის წინაშე დადგა, რადგან „ცისქვეშეთი“ თავისთვის საჭირო ნავთობის ნახევარს სპარსეთის ყურის ქვეყნებისგან იღებს, მაგრამ მეორე მხრივ, რადგანაც მისი საგარეო პოლიტიკა აშშ-ზე არ არის დამოკიდებული, პეკინი არავის არანაირ დაპირებებს არ აძლევს. ჩინეთი ყურადღებით ადევნებს თვალს, თუ რა სწრაფად ხარჯავს ამერიკა ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის შეიარაღებას და აზია-წყნარი ოკეანის სამხედრო თეატრიდან ძალები ახლო აღმოსავლეთში გადაჰყავს.**

**და ბოლოს, მეხუთე – ომი ძირს უთხრის დონალდ ტრამპის ავტორიტეტს რესპუბლიკურ პარტიაში, მას მხარდამჭერები აკლდება. აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ომის გასაგრძელებლად, სავარაუდოდ, 200 მილიარდი დოლარის დამატებითი ხარჯი იქნება საჭირო (ალბათ, სახმელეთო ოპერაციისათვის), რაც კონგრესმა უნდა დაამტკიცოს. ჯერჯერობით, კაპიტოლიუმის ბორცვიდან (კონგრესიდან) პენტაგონის ამ განზრახვას დადებითი გამოხმაურება არ მოჰყოლია. „ვიმეორებ: მე მხარს არ დავუჭერ ირანში სახმელეთო ჯარების გაგზავნას“,** – აცხადებს **ნენსი მეისი,** წარმომადგენელთა პალატის წევრი რესპუბლიკელი (სამხრეთ კაროლინიდან).

რა თქმა უნდა, ომის შესახებ ამომწურავი ანგარიშის წარდგენა მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამერიკას შეუძლია თქვას, რომ გაიმარჯვა – შეხედეთ, რამდენი ირანელი ლიდერი დავხოცეთ, რამდენი ირანული გემი ჩავძირეთ, რამდენი სამხედრო ბაზა გავანადგურეთ... ირანსაც შეუძლია განაცხადოს, რომ მან გაუძლო ომს მსოფლიოს უძლიერეს ქვეყანასთან და კაპიტულაცია არ გამოუცხადებია. ისრაელს შეუძლია იტრაბახოს, რომ მან რეგიონული მეზობელი ძალიან დაასუსტა – დროებით, მაგრამ მაინც.

მაგრამ ომი უახლოეს რამდენიმე დღეშიც რომ დასრულდეს, რეალობა ასეთია: ირანის რეჟიმს სათქმელად და შურის საძიებლად ისიც ეყოფა, რომ გადარჩა. ირანის მომავალი ლიდერები კარგად შეისწავლიან და აითვისებენ ისტორიის გაკვეთილებს, გააცნობიერებენ იმას, რომ მათი ძალა მსოფლიოს ეკონომიკისათვის ზიანის მიყენებაშიც გამოიხატება. ალბათ, გამორიცხული არ არის, რომ ირანის ომისშემდგომი ხელმძღვანელობა შეავსებს დრონებისა და ბალისტიკური რაკეტების რეზერვებს. მთავრობას შეუძლია განაცხადოს, რომ ქვეყნისთვის ბირთვული იარაღის დაუფლება მისი არსებობისა და უსაფრთხოების ერთადერთ გარანტიას წარმოადგენს (ჩრდილოეთ კორეის მსგავსად).

მაშ, რისთვის დაიწყო ეს ომი? შესაძლოა, ეს არის ისრაელის სტრატეგიის – „გაზონების ჭრის“ გამოვლენა, რომელიც ნიშნავს რეგიონული მტრების მუდმივად განადგურებას. მაგრამ ამერიკას ისრაელისათვის მხარი არ უნდა დაეჭირა: დონალდ ტრამპი დიდი ხანია აცხადებს, იგი წინააღმდეგია დიდხარჯიანი და გაჭიანურებული ომებისა ახლო აღმოსავლეთში. როგორც ჩანს, მან საკმარის დონეზე ვერ შეაფასა ირანის რეჟიმის ბუნება და ის, რომ ირანის გეოგრაფია და ფართობი ვენესუელასგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ტრამპმა ვერ განსაზღვრა, რომ ირანში ნიკოლას მადუროები არ არიან და მათი მოტაცება (და თუნდაც ფიზიკური განადგურება) მმართველ რეჟიმის პოლიტიკას ვერ შეცვლის.

**დაბოლოს (პრეზიდენტო), იფიქრეთ რეგიონის მრავალტანჯულ მოსახლეობაზეც. ირანში და ლიბანში ათასობით ადამიანი იქნა მოკლული, მილიონობით კი სამშობლოდან გაიქცა (ან აპირებენ გაქცევას). ისრაელის მოსახლეობა უკვე ორი წელია ფაქტიურად ბუნკერებში იმალება განგაშის სირენების ხმის გაგონებაზე; სპარსეთის ყურის ქვეყნების მოსახლეობა და იქაური მიგრანტები, რომლებიც დუბაიში და დოჰაში მშვიდად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათ ზემოთ სიკვდილისმთესველი დრონები და რაკეტები იფრენდნენ.**

**ისევ ვიტყვი: თუ ამ ყველა უბედურების შემდეგ ჩვენ მაინც ახალი უბედურება გველოდება, მაშ, რისთვის დავიწყეთ ეს ომი?**



მოამზადა

**სიმონ კილაძემ**

# შეხედულებები ქართველთა სილამაზის შესახებ

**მისიონერები და მოგზაურები თავიანთ ნაშრომებში ხშირად აღნიშნავენ, რომ ქართველი ქალები, საერთოდ ქართველი ხალხი, ფიზიკურ სილამაზესთან ერთად „დიდი ნიჭის პატრონები არიან.“ ჩვენი მდიდარი ისტორია ამის დამადასტურებელ ფაქტებს მრავლად შეიცავს. „ვთქვათ მრავალთაგან მცირედი.“**

საქართველომ 2023 წლის ბოლოს მოიპოვა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. მას ეს სტატუსი უნდა მიეღო ერთი წლით ადრე, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, მაგრამ ნაციონალები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა არ გამხდარიყო. ძნელია, მოინახოს მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც ოპოზიციური პარტია ასე მიზანმიმართულად ანგრევდეს თავის ქვეყანას, როგორც ამას აკეთებდნენ ნაციონალები ხელისუფლებაში დაბრუნების მიზნით. ადრეც და 2023 წელსაც ხელისუფლება მათი გაფუჭებული საქმეების გამოსწორებას მოუნდა. მიუხედავად ამისა, საქართველო კანონის უზენაესობის, კორუფციის კონტროლის, ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მშენებლობის ინდექსებით მოწინავე ქვეყნების რიგში იდგა. ყველაზე ხშირად ბრძოლა დეზინფორმაციასთან, სიცრუის ნიაღვართან გვიწევდა, რომელსაც ნაციონალები აწარმოებდნენ. საბოლოოდ ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლი ნაციონალები და მათი მხარდამჭერი ევროპელი პარლამენტარები დამარცხდნენ. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო წარსულის დიდი კულტურული მემკვიდრეობის, მოსახლეობის განათლების მაღალი დონის, ქრისტიანობის ზნეობრივი საფუძვლის მქონე ქვეყნისათვის.

1919 წელს მოსკოვში გამოიცა ა. ნ. მაქსიმოვსკის წიგნი „რომელი ხალხები ცხოვრობენ რუსეთში.“ ავტორი მხოლოდ ქართველების მიმართ წერს: „ქართველებს აქვთ თავიანთი ვრცელი და მდიდარი ლიტერატურა, როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული, აქვთ მრავალრიცხოვანი გაზეთები და ჟურნალები, აქვთ თავისი თეატრი, ჰყავთ თავისი ინტელიგენცია, თავისი პოლიტიკური პარტიები, ერთი სიტყვით, სულიერად და პოლიტიკურად ისინი სავსებით ევროპული კულტურის დონეზე დგანან. ქართველები გამსჭვალულნი არიან თავისი ქვეყნის ღრმა სიყვარულის გრძნობით და უკიდურესად უჭირთ თავისი ქვეყნის დატოვება“.

საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს იმ მხრივაც იმსახურებდა, რომ მისი მოსახლეობის განათლების დონე მაღალი იყო. მე-20 საუკუნეში და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მოსახლეობის განათლების დონე ბევრად მაღალი იყო საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობასთან შედარებით.

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №31-33, 36, 39



**კერძოდ, მოსახლეობის აღწერების მონაცემების თანახმად 1955, 1970 და 1979 წლებში საქართველოში მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე 10 წლისა და უფროს ასაკში უმაღლესი განათლება ჰქონდა გაცილებით მეტ კაცს, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. მაგალითად, 1959 წელს საქართველოში უმაღლესი განათლება ჰქონდა ყოველ 1000 კაცზე 48 კაცს, რუსეთში – 2-ჯერ ნაკლებს – 24 კაცს, უკრაინაში – 21 კაცს, ლატვიაში – 25 კაცს და ა.შ. (იხ. ცხრილი). 1970 და 1979 წლებშიც ანალოგიური ვითარება იყო. იმავე წლებში მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური, ზოგადი საშუალო განათლება საქართველოში გაცილებით მეტ კაცს ჰქონდა მიღებული, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში.**

მოსახლეობის წინა წლების აღწერების მონაცემების მიხედვითაც ქართველები განათლების დონით გამოირჩეოდნენ. მაგალითად, რუსეთის იმპერიის 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, ქალებში დაწყებითზე უფრო მაღალი განათლება ყოველ 1000 კაცზე ჰქონდათ ქართველ ქალებს, კერძოდ – 40 ქართველ ქალს. შემდეგ ადგილს იკავებდნენ გერმანელი ქალები (38), პოლონელი (12), რუსი (10) და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის 1939 და 1959 წლების აღწერების მიხედვით დასაქმებულ მუშებსა და მოსამსახურეებში საშუალო და უმაღლესი განათლების ყველაზე მაღალი დონე ყოველ 1000 კაცზე ჰქონდათ საქართველოში.

**მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თამარ მეფემ (1184-1213) აკრძალა სიკვდილით დასჯა და სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთა დასჯის მიზნით. უმჯობესია, მემატიანის მოვუსმინოთ:** „დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა... არცა – ვინ დასჯილი... თვით არცა – ვის ღირსსა სიკვდილისასა... არცა – ვინ ბრძანებითა მისითა ასო მოკვეთილ იქმნა და არცა სიბრმითა დაისაჯა“. **თამარ მეფემ, ვისაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ ჯერ არ დაესაჯათ, გაანთავისუფლა –** „რაოდენნი სიკვდილად დასჯილნი განათავისუფლნა“.

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ, მონღოლების შემოსევების შედეგად, ქვეყანა მოოხრდა და მკაცრი სასჯელები კვლავ დაბრუნდა. ევროპაში სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე საუბარი მე-18 საუკუნეში, განმანათლებლობის ეპოქაში დაიწყო, 600 წლის შემდეგ თამარ მეფიდან. აღსანიშნავია, რომ დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში ყოფნისას (1906 წელს) იბრძოდა სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) მიერ მიღებული კონსტიტუციით სიკვდილით დასჯა გაუქმდა, თუმცა სულ მალე, ქვეყნის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, 1921 წელს სიკვდილით დასჯა აღდგა. საბოლოოდ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სიკვდილით დასჯა.

ზემოთ აღნიშნული იმის თქმის უფლებასაც გვაძლევს, რომ ევროკავშირში საქართველოს კანდიდატ ქვეყნად მიღების საკითხის განხილვის დროს მისი მდიდარი წარსული ცხოვრების ნიშანდობლივი მხარეც გარკვეულწილად უნდა მიეღოთ მხედველობაში. ამასთან წარსული დამსახურებაც უნდა გაეთვალისწინებინათ და შერაცხული თუ შეფერადცურებული ნაციონალების ეროვნული გრძნობებისაგან დაცლილი ნაზოდვარი, ობიექტურად უნდა გაერჩიათ ქვეყანაში დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების არსებული ვითარებისაგან.

დიდი ქართველი ჰუმანისტი პოეტი შოთა რუსთაველი ცხოვრობდა XII საუკუნის მეორე და XIII საუკუნის პირველ ნახევარში. მის ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ ვრცელ პოემაში „ვეფხისტყაოსანი“, გამოხატულია ქართველი ერის უმაღლესი იდეალები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსთაველის ლექსის მელოდიურობა და ჰარმონიულობა, რითაც იგი პოლიფონიური ხალხური მუსიკის ჟღერადობას გვაგონებს. გიორგი წერეთლის ფუნდამენტალურ ნაშრომში „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ დასაბუთებულია, რომ „ოქროს კვეთის“ ანუ „ღვთაებრივი პროპორციის“ გამოვლენა მის ავტორს სრულებით განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს მსოფლიო პოეზიის ისტორიაში.

პოემაში ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებაა ასახული მიუწვდომელი პოეტური ძალით. რუსთაველმა უმღერა მეგობრობას, გრძნობის თავისუფლებას, ადამიანის ღირსების ამაღლებულ სიყვარულს, საკაცობრიო იდეალებს, იმ იდეებს, რაც შემდეგში საფუძვლად დაედო რენესანსულ კულტურას. მან დაგვიხატა უთვალავი ფერით შემკული მშვენიერი სამყარო, სადაც ქალი ყოველმხრივ სრულყოფილ ადამიანად არის მიჩნეული, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო შუა საუკუნეების ისტორიაში. კ. ბალმონტის აზრით, ვეფხისტყაოსანი სიყვარულის საუკეთესო პოემაა, რომელიც კი ოდესმე ევროპაში წარმოშობილა.

ვეფხისტყაოსანი გამოცემულია ასეულობით ქართულად, თარგმნილია 50-ზე მეტ ენაზე, მათ შორის თითქმის ყველა ევროპულ ენაზე, ასევე აზიურ, არაბულ და აღმოსავლეთის ენებზე.

ჩვენი წარსული ცხოვრება ქართველი ქალების კდემამოსილების, წესიერების, ოჯახის დედობის, სამშობლოს სიყვარულის, ქვეყნისათვის თავდადებული შვილების აღზრდის სანიმუშო მაგალითებითაა სავსე. ანტიოქიის პატრიარქი თევდოსი მეთერთმეტე საუკუნის ქართველ სასულიერო და საზოგადო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელთან საუბრით ისე მოიხიბლა მისი განსწავლულობით, რომ ბრძანა: „კურთხეულია ღმერთი. ზოგიერთნი ნაკლოვანებას სწამებდნენ ქართველებს, მაგრამ, აი თურმე მრავალგვარად უპირატესნი ყოფილან ჩვენზე, განსაკუთრებით ქალწულებით (უბიწოებით), რომელსაც წმინდად იცავენ.

1920 წელს ინგლისის პრემიერ-მინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჯეიმს რემზი მაკდონალდი, რომელმაც დამოუკიდებელ საქართველოში იმოგზაურა, წერდა: „თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

**მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში.“**



**ანზორ თოთაძე**

მოსახლეობის განათლების დონე საბჭოთა კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებში 1959, 1970 და 1979 წლებში.

მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე 10 წლისა და უფროს ასაკში აქვთ უმაღლესი განათლება

| წლები / რესპუბლიკები | 1959 | 1970 | 1979 |
|---|---|---|---|
| საბჭოთა კავშირი | 23 | 42 | 68 |
| რუსეთი | 24 | 44 | 71 |
| უკრაინა | 21 | 40 | 65 |
| ბელორუსი | 15 | 35 | 63 |
| უზბეკეთი | 18 | 36 | 58 |
| ყაზახეთი | 17 | 35 | 60 |
| საქართველო | 48 | 73 | 103 |
| აზერბაიჯანი | 30 | 44 | 65 |
| ლიტვა | 16 | 35 | 61 |
| მოლდავეთი | 14 | 29 | 52 |
| ლატვია | 25 | 46 | 74 |
| ყირგიზეთი | 19 | 35 | 57 |
| ტაჯიკეთი | 15 | 29 | 49 |
| სომხეთი | 39 | 57 | 91 |
| თურქმენეთი | 19 | 33 | 53 |
| ესტონეთი | 25 | 47 | 74 |

# სეტანტას ავტოგოლი

**მედროვე, გოდმა, პაცუნა, გულღრძო და ყოველივე ანტიქართულის კრეზსითი მარგალიტი – ნაცი!**

ჩვენი თვალხატულა დედაენა ამოუვსები სკივრია როგორც აღმატებითი ხარისხის აღმნიშვნელი შედევრებით, ისე, გვსურს თუ არა, თვისტომთა უკეთურობის განმსაზღვრელი ეპითეტებით. რას ვიზამთ – გვერდიგვერდ ბუდობენ სიკეთე და ბოროტება, მადლიერება და შური, კაცობრიობა კი, საბედნიეროდ, ადრე თუ გვიან, სწორ არჩევანს აკეთებს და გვარწმუნებს, რომ „არსება



მისი (ანუ დადებითის) გრძელია“. ახლა კი, მოდით, ძირითად სათქმელზე გადავიდეთ.

**„სეტანტა“ სპორტის მოყვარულთა საყვარელი ტელეარხია, მაგრამ კონიუნქტურის მარწუხებმა, ეტყობა მასაც მოუჭირა და დაუკრეფავში გადასვლით, დიდი ალბათობით, საკუთარ რეიტინგს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.**

უფრო კონკრეტულად, საუბარია ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ისტორიული – მე-100 გამარჯვებისადმი მიძღვნილ საიუბილეო ბანერზე, სადაც პატივცემულმა კოლეგებმა ადგილი ვერ მოუძებნეს მმართველი პარტიის გენერალურ მდივანს, დედაქალაქის მერსა და ქვეყნის პრეზიდენტს.

**გასაგებია, რომ პოლიტიკური გემოვნება ერთგულებას მოითხოვს, მაგრამ რა ვუყოთ პროფესიულ ეთიკასა და ობიექტუროზას?**

ვინმემ მიკერძოებულობა რომ არ დაგვწამოს, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ „შერისხულთა“ დოსიე.

**დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშე კახი კალაძე გახლავთ ჩემპიონთა ლიგის 2-გზის ტრიუმფატორი, 3 ქვეყნის (სამშობლოს, უკრაინისა და იტალიის) ჩემპიონი, აგრეთვე უამრავი სხვა პრესტიჟული გუნდური თუ ინდივიდუალური ტიტულის მფლობელი და ჯვაროსანთა კაპიტანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ხოლო მიხეილ ყაველაშვილის კოლექციას ასევე 3 ქვეყნის (საქართველოს, რუსეთისა და შვეიცარიის) ჩემპიონატების ოქროები ამშვენებს. აღარაფერს ვამბობთ მარად მოკაშკაშე ვარსკვლავ გიორგი ქინქლაძის მხარდამხარ მანჩესტერ სიტიში გატარებულ დაუვიწყარ პერიოდზე და ეროვნული ნაკრების მაისურით მეტოქეთა კარში გატანილ 9 გოლზე.**

**ხომ საკმარისია?**

ჰოდა, როცა მომავალშიც მოგიწევთ მსგავსი მისიის შესრულება, ვთქვათ, ნაკრების 150-ე წარმატების აღსანიშნავად, ძვირფასო ნაცმედიის წარმომადგენლებო, ჩაიხედეთ ცნობარებსა თუ ინტერნეტში და მხოლოდ ბინძური აკაცუკური დაკვეთებით ნუ იხელმძღვანელებთ, რადგან იმ დროისათვის, უდიდესი ალბათობით, თქვენი დედაპარტია უკვე აკრძალული იქნება ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულებისათვის და, მსგავსად, მაგალითად, ფაშისტურ-კომუნისტური ბნელი ძალების ერთობისა, ისტორიის სანაგვეზე დამსახურებულად ექნება ადგილი მიჩენილი.

**და ბოლოს: კიდევ ერთი თქვენთვის გასათვალისწინებელი პარალელი ახლო წარსულთან – მართალია, გამოჩენილი ძიუდოისტი თამაზ ნამგალაური არაკაცური საქციელისთვის სასჯელის უმაღლესი ზომით მართლზომიერად დაისაჯა და მისი გვარი, კერძოდ, თბილისის პრესტიჟული საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის ლაურეატთა ნუსხიდან გააქრეს კიდეც, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს მის საფირმო ილეთს და მისი შესრულებისას კომენტატორთაგან დღესაც ხშირად გაიგონებთ ფრაზას: „ნამგალაურის ვერტუშკა“.**



გეთანხმებით – შესაძლოა, თვალსაჩინოებისათვის საჩოთირო შემთხვევა მოვიხმეთ, მაგრამ არსი ზუსტადაა ასახული: მიღწევათა დამცირების მცდელობით მის ავტორს არაფერი აკლდება! უფრო კი პირიქითაა.

**სხვათა შორის, აურზაური არაფრის გამოო, ისეა საქმე, რადგან, როგორც ირკვევა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, თურმე, ჯერ მე-100 მატჩი არ მოუგია და რატომღაც 2024 წლის 26 მარტს ბერძნებთან პენალტებში მოგებული დიდგორი გამარჯვებად ჩაუთვალეს მაშინ, როცა ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, აი, კურიოზი!**



# ბარბაროსებმა პრინცესა მოონუსხეს

**მაშინ, როცა ჭაბუკი ბორჯღალოსნები ფრანგულ კურორტ ვიშში გასამგზავრებლად და 6 ერის ფესტივალში ზედიზედ მე-3 სათამაშოდ ემზადებიან, ერეკლე კამლაძის გაწვრთნილი ბარბაროსები მონაკოს პრინცესა შარლენის სახელობის არანაკლებ პრესტიჟული ტურნირიდან 24 გუნდთან ბრძოლაში დაკავებული მე-3 ადგილით თავაწეულნი დაბრუნდნენ.**

სხვადასხვა კლუბებიდან შეკრებილ პერსპექტიულ ბავშვ მორაგბეთა ერთობა აღნიშნულ დათვალიერებაში მეოთხედ მონაწილეობდა ქართველი ლეგიონერის **მამუკა მაგრაქველიძის** ძალისხმევითა და რაგბის ეროვნული კავშირის პრეზიდენტის **დავით კაჭარავას** თანადგომით, სულ კი იქ გასულ წლებში უკვე 50-მდე ჩვენებურმა იასპარეზა.

მადლიერებით დავძენთ, რომ ამჯერად ბიჭებს შეკრებისთვის ბაზა თბილისის ხვამლმა **(დავით ცხვედიანი)** დაუთმო, უშუალოდ ბრძოლის ველზე კი ბარბაროსებმა მავრიტანიელი, შვეიცარიელი და თვით შოტლანდიელი თანატოლები შემუსრეს, მაგრამ ნახევარფინალი სენსაციურად დათმეს სინგაპურელებთან.

* * *

**ამასობაში სარაგბო სამყაროში ერთა თასის სახით ახალი საინტერესო ტურნირი დაიბადა, რომელიც 4 ივლისს მონტევიდეოში ურუგვაი – საქართველოს მატჩით გაიხსნება.**

ახალ ასპარეზობაში 2027 წლის მსოფლიო თასის ფინალისტი 12 გუნდი ითამაშებს და ისინი რეგიონული პრინციპით 2 ექვსგუნდიან ჯგუფში არიან გადანაწილებულნი.

**„ა“ ჯგუფი. კანადა, ჩილე, სამოა, ტონგა, ურუგვაი, აშშ.**

**„ბ“ ჯგუფი. საქართველო, ჰონკონგი, პორტუგალია, რუმინეთი, ესპანეთი, ზიმბაბვე.**

დავძენთ, რომ იმავე პირველ სანაკრებო ფანჯარაში ჩილეში კიდევ 2 მატჩს გავმართავთ: 11 ივლისს სამოასთან და 18 ივლისს მასპინძლებთან.

# წყალსაც დაამშვენებს

**სპორტი იმისაა, რომ მუდმივ განახლებას მოითხოვს, ახალი სისხლის გადასხმის პროცესი კი, მართალია სარისკო საქმეა, მაგრამ, რომ იტყვიან, ჩიტი ბდღვნად ღირს, რასაც, უმეტეს შემთხვევაში, პრაქტიკაც ადასტურებს.**

ამჯერად გულშემატკივარი წყალბურთში შავი ზღვის აუზის ქვეყნების ლიგის შექმნამ გაახარა, რომელიც სექტემბერში აიღებს თბილისში სტარტს და ღია ტურნირი იქნება ლიეტუვისა და ყაზახეთის გუნდების მონაწილეობით.

ბალტიისპირელთა მოწვევის მიზანზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, აი, აზიელთა სასახელო ტრადიციები კი ერთ დროს საბჭოთა კავშირის უძლიერესი ნაკრების საბაზო კლუბის – ალმაათის დინამოს ვარსკვლავთკრებულის წარმატებებს უკავშირდება, თუმცა არაა გამორიცხული, ორგანიზატორებმა ოლიმპიური პრინციპით იხელმძღვანელეს – მთავარი მონაწილეობააო.

**მოკლედ, გზა დავულოცოთ მომავალ გამოწვევას!**





**ევრო-2027-ის შესარჩევ ეტაპზე რამაზ სვანაძის გაწვრთნილმა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ქუთაისში მალტას მეორე მატჩიც დიდი ანგარიშით მოუგო – 4:1, მაგრამ უმცროს ჯვაროსანთა თამაშის ხარისხი, დარწმუნებულნი ვართ, უპირველესად, თვით გუნდის თავკაცს დაუტოვებდა უკმარისობის გრძნობას.**

დავიწყოთ იმით, რომ მალტამ ტურნირის მე-7 შეხვედრაში თავისი პირველი ბურთი სწორედ ჩვენ გაგვიტანა და კიდევ რამდენჯერმე იყო ახლოს მიზანთან – მაგალითად, ერთხელ კარის ძელმა გვიხსნა.

ის არგუმენტი, რომ ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო რამდენიმე ლიდერი გვაკლდა, მეტოქის სისუსტის გათვალისწინებით, თავის გამართლებისთვის ვერ გამოგვადგება.

საბედნიეროდ, იყო დადებითი ფაქტორებიც – თუნდაც **სიგუას** დუბლი და **ნარიმანიძის** შორეული გასროლებით სტატისტიკოსის ბლოკნოტში ჩაწერილი გოლი და ძელი, მაგრამ ვიმეორებთ: ქართული ფეხბურთის ტრადიციებსა და ბოლო ორ ევროფორუმზე მონაწილეობით გაზრდილ ჩვენ ამბიციებს ასეთი თაობა ვერ გამოადგება საპირწონედ.

# ტაბლოს ოინები

საბერძნეთი – გერმანია 0:2, ლატვია – ჩრდილოეთ ირლანდია 1:3.

**სატურნირო ცხრილი: გერმანია, საბერძნეთი – 18, ჩრდილოეთ ირლანდია – 10, საქართველო – 9, ლატვია – 5, მალტა – 0 ქულა.**

* * *

**გამოვლინდნენ წლევანდელი მუნდიალის უკანასკნელი ფინალისტები.**

გაუწყებთ საკვალიფიკაციო რაუნდის გადამწყვეტი შეხვედრების შედეგებს: ბოსნია – იტალია 1:1 (პენალტებით – 4:1. სკუადრა აძურა ზედიზედ მე-3 მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს), კოსოვო – თურქეთი 0:1, ჩეხეთი – დანია 1:1 (დამატებითი დრო 1:1, პენალტებით – 3:1), შვედეთი – პოლონეთი 3:2, ერაყი – ბოლივია 2:1, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა – იამაიკა 1:0.



* * *

**და ბოლოს – ტკბილი ლუკმა:**

**ესპანეთის ლა ლიგა 2. რასინგი – „სოსიედადი „ბ“ 3:1. გიორგი გულიაშვილი – გოლი და MVP ტიტული. მისი გუნდი ისევ ლიდერია!**



**ბოლო 72 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკორეალიზაციაში ჩართული და მხარდამჭერი 108 პირია დაკავებული,** – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე დარახველიძემ** უწყებაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



# ნარკორეალიზაციაში ჩართული და მხარდამჭერი 108 პირი დააკავეს!

როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, დაკავებული არიან როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

**„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და გავრცელების წინააღმდეგ შესაბამის საპოლიციო ღონისძიებებს უწყვეტ რეჟიმში ატარებენ. სამართალდამცავების მიერ ბოლო 72 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკორეალიზაციაში ჩართული და მხარდამჭერი 108 პირია დაკავებული.**

**დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის, რეალიზაციის, რეალიზაციის ხელშეწყობისა და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირების ბრალდებით დაკავებული არიან როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული პირების უმრავლესობა ნარკოტიკული საშუალებების გასაღების დანაშაულებრივ სქემაში იყო ჩართული. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო და ვიდეოჩაწერა.**



**ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მათი დანაშაულებრივი ქმედება დასტურდება.**

**სამართალდამცავების მიერ საპოლიციო ღონისძიების ფარგლებში გამოვლენილნი და დაკავებულნი არიან ის ნარკოდამნაშავეებიც, რომლებიც უცხოეთიდან ამანათებით, შენიღბულად გამოგზავნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების რეალიზაციას გეგმავდნენ.**

**სამართალდამცავებმა ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი სახლებისა და ავტომობილების ჩხრეკის შედეგად, ასევე, ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს მათ მიერ მითითებული ადგილებიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული, სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, მათ შორის: „კოკაინი“, „ჰეროინი“, „მეთადონი“, „ალფა-პვპ“, „მდმა“, „ბუპრენორფინი“ და „კლეფედრონი“.**

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-260-ე, 260-ე, 260-ე ტერცია, 260-ე კვარტა, 261-ე და 265-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# დაზარალებულია 500-ზე მეტი პირი, ზიანი 31 მილიონამდე ლარია!



**„სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად არის ცნობილი 500-ზე მეტი პირი, ხოლო ზიანი შეადგენს, დაახლოებით, 31 მილიონ ლარს“,** – ამის შესახებ „სფერო ჰოლდინგის“ საქმის პროკურორმა განაცხადა, რომლის არსებითი განხილვაც 1 აპრილს საქალაქო სასამართლოში დაიწყო.

**ნინო კეპულაძის** თქმით, ამ ეტაპზე, საქმეზე დაკავებულია სამი ფიზიკური პირი, ამავდროულად ბრალი აქვს წარდგენილი ორ იურიდიულ პირს.

**„პროცესზე გავიარეთ შუამდგომლობების ეტაპი. უკვე მომდევნო სხდომიდან საქმეზე სასამართლო მოისმენს მხარეთა შესავალ სიტყვებს, ამავდროულად, ბრალდების მხარე დაიწყებს მტკიცებულებათა კვლევას“.**

# „პურის ფესტივალი“ უმაღლესი ჯილდოს მფლობელია

**აკანთუსის პრემია ევროპის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული „ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტის“ მიერ არის დაარსებული. სწორედ აღნიშნული პრემიის პირველი გამოშვების ფარგლებში, ქართულმა პროექტმა – „პურის ფესტივალი საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში“ – უმაღლესი ჯილდო მოიპოვა,** – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.



კერძოდ, ქართულმა პროექტმა გაიმარჯვა კატეგორიაში – „საზოგადოების ჩართულობა, განათლება და ცნობიერების ამაღლება“.

ისტორიული ბაღების მარშრუტი (ERHG) არაკომერციული ასოციაციაა, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მნიშვნელოვან ისტორიულ ბაღებს ერთ საერთო მარშრუტში აერთიანებს. ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად თბილისის ბოტანიკურ ბაღში იმართება, ხელს უწყობს ტრადიციული ხორბლის ჯიშების, აგრარული მემკვიდრეობისა და ეთნობოტანიკური ცოდნის პოპულარიზაციას. იგი აერთიანებს სამეცნიერო და კულტურულ პრაქტიკას, იზიდავს ათიათასობით ვიზიტორს და მხარს უჭერს ადგილობრივ თემებს.

აღსანიშნავია, რომ პურის ყოველწლიური ფესტივალი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს UNESCO-ს მიერ 2025 წელს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანილი „ქართული ხორბლის კულტურის – ტრადიციებისა და რიტუალების“ შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას.

ევროპული ბაღების ასოციაციაში გაწევრებაზე განაცხადი 2019 წელს წარადგინა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც ასევე უზრუნველყო გამარჯვებული პროექტის ნომინირება 2025 წელს. დაჯილდოების ცერემონია გაიმართება ათენში, 2026 წლის 7-9 ოქტომბერს, ისტორიული ბაღების ევროპული ფორუმის ფარგლებში.

# „ვეფხისტყაოსნის“ პრემიერა რუსთაველის თეატრში

**5, 6, 7, 17, 18 აპრილს რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე პრემიერაა** – „ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს დღეს“.

რუსთაველის თეატრის ინფორმაციით, სპექტაკლი ეძღვნება სანდრო ახმეტელის 140-ე წლისთავს. წარმოდგენილი იქნება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ნაწილი – „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“.






# გიზის პლატოს ქვეშ მეორე სფინქსი იმალება?!

**იტალიელმა მეცნიერებმა სენსაციური განცხადება გააკეთეს – თანამგზავრული რადარებისა და მოწინავე სკანირების ტექნოლოგიის (SAR) გამოყენებით, მკვლევრებმა ქვიშის ქვეშ გეომეტრიული ანომალიები აღმოაჩინეს, რომლებიც, მათი ვარაუდით, შესაძლოა ლეგენდარული დიდი სფინქსის „ტყუპი“ ძეგლი აღმოჩნდეს.**

ჯგუფის ხელმძღვანელის **ფილიპო ბიონდის** განმარტებით, როდესაც მათ პირამიდებიდან არსებულ სფინქსამდე ხაზები გაავლეს და ეს გეომეტრია სარკისებურად აირეკლეს, ზუსტად იმ წერტილზე გავიდნენ, სადაც მიწისქვეშ მასშტაბური სტრუქტურა ფიქსირდება. ბიონდი 80%-ით დარწმუნებულია, რომ ეს სწორედ მეორე სფინქსია. მისივე თქმით, ეს თეორია სიმართლესთან ახლოსაა, რადგან ცნობილ „სიზმრის სტელაზე“ (რომელიც სფინქსის თათებს შორის მდებარეობს) გამოსახულია ორი სფინქსი, რაც დიდი ხანია აჩენდა ეჭვს, რომ მონუმენტს მეწყვილე ჰყავდა.

გარდა სავარაუდო სფინქსისა, რადარებმა გიზას პლატოს ქვეშ ვერტიკალური შახტების, ჰორიზონტალური გვირაბებისა და დიდი დარბაზების მთელი ქსელი დააფიქსირეს. დოქტორ ბიონდის განცხადებით, მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ მიწისქვეშ ნამდვილი მეგასტრუქტურა იმალება, რომელიც საინჟინრო თვალსაზრისით იმაზე ბევრად რთულია, ვიდრე აქამდე წარმოედგინათ.

თუმცა, აღმოჩენამ სამეცნიერო წრეებში დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ცნობილი ეგვიპტოლოგი ზაჰი ჰავასი და სხვა ექსპერტები სკეპტიკურად არიან განწყობილნი და აცხადებენ, რომ გიზას ტერიტორია ათწლეულების განმავლობაში დეტალურად არის შესწავლილი და მსგავსი მასშტაბის ობიექტის არსებობა ნაკლებად სავარაუდოა.

# დავით სონღულაშვილი: რეაგირების გარეშე არ დავტოვებთ არცერთ ბრალდებას, მუქარას და ცილისწამებას!



**შინაური ცხოველების ჰიპერპოპულაციის მართვის პროგრამა უკვე ერთი წელია, წარმატებით მიმდინარეობს და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ჰუმანურ მოდელს, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებზე,** – ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **დავით სონღულაშვილმა** განაცხადა.

მინისტრის განცხადებით, ამ დროის განმავლობაში პროგრამამ უკვე მოიტანა მნიშვნელოვანი შედეგები, როგორიც ცხოველთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, ისე მოსახლეობის უსაფრთხოების მიმართულებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნისა და საზოგადოებისთვის.

**„პროგრამის მთავარი მიზანია ბალანსის დაცვა – ერთი მხრივ, მაქსიმალურად ჰუმანური მიდგომით დავიცვათ და გავაუმჯობესოთ ცხოველების მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველვყოთ ადამიანების უსაფრთხო გარემო, მათი ჯანმრთელობის დაცვა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ პროგრამის წინააღმდეგ გავრცელებული გარკვეული განცხადებები და კამპანიები არ ეფუძნება რეალურ ფაქტებს. ეს პროცესები პროვოცირებულია კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების მიერ, რომლებიც ცდილობენ საზოგადოების ემოციური განწყობის გამოყენებას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის. მსგავსი ქმედებები მნიშვნელოვნად აფერხებს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და ზიანს აყენებს, როგორც საზოგადოებრივ ინტერესს, ისე თავად ცხოველთა დაცვის საქმეს. ამასთანავე, ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ არცერთი ბრალდება, მუქარა ან ცილისწამება, რომელიც მიმართულია იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც კეთილსინდისიერად, პროფესიონალურად ასრულებს საკუთარ მოვალეობას, არ დარჩება რეაგირების გარეშე. ყველა ასეთი ცილისწამების ფაქტი იქნება სათანადოდ გამოძიებული. თითოეული პირი, რომელიც ჩართულია მიზანმიმართულ დეზინფორმაციასა და ზეწოლაში, აგებს პასუხს კანონის ფარგლებში. ჩვენ ვაგრძელებთ პროგრამის განხორციელებას საზოგადოების ინტერესების, უსაფრთხოებისა და ჰუმანური ღირებულებების დაცვით“,** – განაცხადა **დავით სონღულაშვილმა.**

# 1972 წლის შემდეგ პირველად მთვარისკენ მიემართება კოსმოსური ხომალდი!

**ამერიკული კოსმოსური ხომალდი „ორიონი“ (Orion), რომლის ბორტზეც 4 ასტრონავტი იმყოფება, ფლორიდაში მდებარე კანავერალის კონცხიდან მთვარისკენ წარმატებით აფრინდა. ეს მისია Artemis 2-ის ფარგლებში მოხდა.**

ეს მთვარისკენ მიმართული პირველი პილოტირებული ფრენაა 1972 წლის შემდეგ. გაშვება განხორციელდა მძიმე რაკეტა-მატარებლის, SLS-ის საშუალებით, აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს დროით 1 აპრილს, 18:35 საათზე (თბილისის დროით 2 აპრილს, 02:35 საათზე).

ხომალდის ბორტზე 4 ასტრონავტია: ეკიპაჟის მეთაური **რიდ უაისმენი,** პილოტი **ვიქტორ გლოვერი** და მისიის სპეციალისტები – **კრისტინა კოხი** და **ჯერემი ჰანსენი.**

მისიის პირველ დღეს „ორიონი“ დედამიწის ორბიტაზე გაატარებს, რა დროსაც ხომალდის სისტემებს შეამოწმებს, შემდეგ კი სპეციალურ მანევრს შეასრულებს, აჩქარდება და მთვარისკენ გაემართება. **მისიის ფარგლებში „ორიონი“ მთვარეს ერთ წრეს შემოუვლის. ის დედამიწის თანამგზავრის ზედაპირიდან 7,5 ათასი კილომეტრის მანძილზე უნდა გაფრინდეს. ფრენის ხანგრძლივობა 10 დღეს შეადგენს. მისია მთვარეზე დაჯდომას არ ითვალისწინებს.**






# დონალდ ტრამპმა მაკრონს დაურეკა და კარგადაც მიალანძღა!

**აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში, აღდგომისადმი მიძღვნილ ლონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას ნატოს მოკავშირეები ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციაში არასაკმარისი მხარდაჭერის გამო გააკრიტიკა.**

ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანგი კოლეგა ემანუელ მაკრონი მოიხსენია ადამიანად, რომელსაც მეუღლე **„უკიდურესად ცუდად ეპყრობა“ და ის „მარჯვენა ყბაში მიღებული დარტყმის შემდეგ გონს ჯერ არ მოსულა“.**

ტრამპმა ასევე აღნიშნა, რომ ნატო არაფერში სჭირდებოდა, თუმცა დახმარება იმიტომ ითხოვა, ენახა, რას იზამდნენ.

**„ვურეკავ საფრანგეთს, მაკრონს, რომელსაც ცოლი უკიდურესად ცუდად ექცევა, მარჯვენა ყბაში მიღებული დარტყმისგან სრულად გონს რომ არ მოსულა და ვეუბნები: „ემანუელ, ძალიან გვინდა დახმარება სპარსეთის ყურეში, მიუხედავად იმისა, რომ რეკორდებს ვამყარებთ, ცუდ ხალხს ვანეიტრალებთ და ბალისტიკური რაკეტებს ვანადგურებთ. ძალიან გვინდა თქვენი დახმარება, შეგიძლიათ, გემები დაუყოვნებლივ გამოაგზავნოთ?“**

საფრანგეთის პრეზიდენტმა უპასუხა: **„არა, არა, არა, ამას ვერ გავაკეთებთ. ამის გაკეთება ომის დასრულების შემდეგ შეგვიძლია. მე კი ვუთხარი: ომის დასრულების შემდეგ არ მჭირდება, ემანუელ“...**

# 2026 წლის გამოცდებისთვის რეგისტრაცია 6 აპრილს დაიწყება

**2026 წლის ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის რეგისტრაცია 6 აპრილს, 10:00 საათზე დაიწყება,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

აბიტურიენტებსა და მაგისტრანტობის კანდიდატებს რეგისტრაციის გავლა ელექტრონულად, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე – online.naec.ge 11 მაისის, 18:00 საათამდე შეეძლებათ.

**წელს აბიტურიენტებს, მათთვის სასურველი რაოდენობის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის შესაძლებლობაც ექნებათ. სტუდენტები, რომლებიც წელს სახელმწიფო უნივერსიტეტებში საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე, ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხებიან, უფასოდ ისწავლიან.**



**აუცილებელია, აპლიკანტებმა 6 აპრილის 10:00 საათიდან 6 მაისის 18:00 საათამდე უზრუნველყონ ჩასაბარებელი საგნების (არანაკლებ ერთი საგნის) საფასურის გადახდა, რათა მათ რეგისტრაციის დასრულება შეძლონ 11 მაისის 18:00 საათამდე. აღნიშნულ პერიოდში მათ სხვა საგნების საფასურის გადახდა, საგამოცდო ქალაქისა და საგანმანათლებლო პროგრამების არჩევა/ცვლილება შეეძლებათ.**

**საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, წაშლა ან/და გადანაცვლება აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის 18:00 საათამდე იქნება შესაძლებელი.**

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი „ცნობარს აბიტურიენტებისთვის“ რეგისტრაციის დაწყებამდე გამოაქვეყნებს. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, გამოცდებზე რეგისტრაციის ინსტრუქციას, საგამოცდო პროცედურებს, პროცესის ეტაპებსა და წესებს.**

**დეტალური ინფორმაცია რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოქვეყნდება.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
С–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 6 აპრილს**